—1613), братъ Теймуразовскаго сахлгхуцеса (гофмаршала) Нодара, а въ Карталиніи около того же времени избрали католикосомъ Теодора (Теодосія, 1614 - 1616). Послѣдній, однако, пробылъ на своемъ посту недолго, такъ какъ съ воцареніемъ въ Карталиніи Багратъ-Мирзы, сей царь пожаловалъ въ католикосы своего шурина Христофора Амилахори (1616 - 1660), занимавшаго раньше самтавскую архіепископію. Такимъ образомъ, во дни святительства католикоса Захаріи, въ Грузіи было двоевластіе, которое не прекратилось и со смертію Захаріи, ибо кахетинцы во главѣ съ Теймуразомъ I на мѣсто скончавшагося католикоса, какъ мы уже сказали выше, поставили Эдемоса I Диасамидзе (1630—1642), дядю царской невѣстки Елены Левановны (супруги царевича Давида), лишь послѣ мученической кончины коего и воссоединились карталінскія и кахетинскія церкви подъ властью католикоса Христофора (Пл. Юсселиани. Историческій взглядъ на состояніе Грузіи подъ властью царей магометанъ, стр. 37—38; Тифлисъ 1849 г. Свящ. П. Карбеловъ. Іерархія груз. церкви, стр. 112—126). Спрашивается, *когда же и кѣмъ* могъ быть избранъ въ грузинскіе католикосы кукоسونскій митрополитъ Никифоръ, важнѣйшій поклонникъ способностей котораго (Перениска груз. царей съ россійск. госуд., стр. 6 и далѣе) царь Теймуразъ „послѣ умершаго католикоса Захаріи“ выбралъ въ преемники ему своего родственника Эдемоса I Диасамидзе?

2) Изъ источниковъ, имѣвшихся въ распоряженіи архимандрита Никандра, не видно, чтобы архимандритъ Никифоръ былъ *наместникомъ антиохійскаго патріарха*. „Перениска груз. царей съ россійск. госуд.“ этотъ почти единственный источникъ, говорящій объ архимандритѣ Никифорѣ, называетъ его „грекомъ Никифоромъ, архимандритомъ всей Иверіи, Карталиніи, Кахетіи и митрополитомъ кукоسونскимъ“ — и только (стр. XXVII). Кто сей грекъ Никифоръ, и въ какихъ отношеніяхъ онъ стоялъ къ восточнымъ патріархамъ — это вопросы пока еще спорные, ожидающіе надлежащаго своего освѣщенія. По крайней мѣрѣ, когда профессоръ А. Хахановъ заявилъ (Церк. вѣд, стр 187), что „Никифоръ былъ архимандритомъ *святаго гроба* и управлялъ имѣніями *іерусалимской* патріархіи въ Иверіи, Карталиніи и Кахетіи“, то самъ г. Самуиловъ (ibid.) признался, что „дѣйствительно... относительно нареченнаго кукоسونскаго митрополита *трудно утверждать его наместничество отъ антиохійскаго патріарха*“.

Свящ. К. Цинцадзе.

(Продолженіе слѣдуетъ).

ქართული განყოფილება

რაზმა ღვაპ?

(პასუხი თბილელ დიაკონებს და მედავითნეებს).

ეს იყო 1848 წელს. ქ. ფრანკფურტში მიიწვიეს ერთი როტშილდთაგანნი ხეივანში დასვირნობდა, როცა მასთან მივიდნენ ორი მუშა და მიმართეს მას ამ სიტყვებით: „ბატონო ფონ-როტშილდ! გავგიგია, რომ თქვენ გულკეთილი კაცი ბრძანდებით და ვგსურს გავიყოთ თქვენი ქონება.“ „ღიღის სიამოვნებით,—მიუგო დაუყოვნებლივ როტშილდმა და დინჯად ამოიღო ჯიბიდან ფულის ქისა,—აქვე გავიყოთ. სულ ადვილი საანგარიშოა: მე მაქვს სულ 40 მილიონი გულდენი (მუშებს სიხარულით თვალები გაუბრწყინდათ) და გერმანიაშიც 40 მილიონი ნემეცია. მაშასადამე, თითოეულს ერგება თითო გულდენი. აი თქვენ ორს თქვენი წილი“. უთხრა თუ არა ესა, ჩაუდგა მათ ხელში ორი გულდენი და წარბეჭდულად განაგრძო სვირნობა.

სწორედ ამ ამბავს მოგვაგვანებს თბილელ დიაკონების და მედავითნეების ამიერიდგან ცნობილი მოთხოვნილებები. მხოლოდ ამ ორ ფაქტის შორის რამოდენიმე საგულისხმევრო განსხვავებაა „წვირილმანებში“. იქ, ფრანკფურტში, მუშებმა მოინდომეს გაყოფა მდიდარ როტშილდის ქონებისა, ხოლო აქ, თბილისში, დიაკონები და მედავითნეები, რომელთაც ნამდვილ მუშობისა და მუშაობისა, რასაკვირველია, არა ეტყობათ რა, სმელ ლუკმის ზატონ სამღვდელოების ქონების გაყოფით აპირობენ თავის მდგომარეობის გაუმჯობესობას. ფრანკფურტელი მუშები კმაყოფილი, შეიძლება ნასიამოვნებიც კი დარჩნენ როტშილდის ახირებულ საჩუქრით, თბილელი დიაკონები და მედავითნეები კი, რომელთაც თბილელ სამღვდელოებამ მიართვა მსგავსივე საჩუქარი, გაიძახიან: არამც თუ თქვენ, თბილელი სამღვდელოებავ, არამედ მთელ ეპარქიის სამღვდელოებამ და არა მარტო ჩვენ, არ მელ მთელ ეპარქიის დიაკონ-მედავითნეებს უნდა გაუყოთ თქვენი ქონებაო (ნამდვილი „კომმუნისმია“ რა-ლა!). თბილელ დიაკონებს და მედავითნეებს, როგორც ეს მათი წერილიდან სჩანს, ძლიერ უყვართ თავიანთ თავის მუშებთან, ხოლო მღვდლებისა კაპიტალისტებთან და ქარხნებ-ფაბრიკების ზატრონებთან შედარება. დეე, იყოს ასე. მაგრამ არსად, არასოდეს და არც ერთს გონიერ მუშას არ მოუთხოვნია,

რომ ესა და ეს მუშა გააძვევთ, რადგანაც იგი „კოლექსიკი სეკრეტარია“ და უბრალო მუშის ადგილი არ შეჭყურისა, ხოლო თბილელი დიაკონები და მედავიონები თხოულობენ, რომ თბილისში ამა და ამ მღვდლებმა დასკა-ლონ ადგილები, რადგანაც იგინი მღვდლები არიან და დიაკონ-მედავიონე-ების ადგილები მათ არ შეშუგნათო. არსად არ მოუთხოვნიათ მუშებს, ჩვენს უფროს მუშას, რომელსაც თვეში სამი თუმანი ეძლევა, წაართვით თვიურად ხუთი მანეთი და ეს ხუთი მანეთი ჩვენ მოგვიმატეთ, რადგანაც ჩვენ ნაკლე-ბი გვეძლევაო. ისინი ებრძვიან დამქირავებლებს: მოგვიმატეთ ქირა, რად-განაც არსებული ქირა ცოტაა და არ გვყოფნისო. დიაკონები და მედავი-ონები კი ნამდვილ დამქირავებლებს—სასულიერო მთავრობას და საზოგადო-ებას ხმას ვერ სცემენ, რადგანაც იციან, რომ იმათგან ვერაფერს მიიღებენ და უფროს მუშებს—მღვდლებს მიდგომიან, გინდათ თუ არ გინდათ, თქვე-ნი პატარა ლუკმიდან ჩვენც მოგვიტყებთო.

აი მხოლოდ ეს უკიდურესი და სამწუხარო განსხვავება თბილელ დია-კონ-მედავიონებებსა და ნამდვილ მუშების შორის იყო დედა-პაპარი ჩემის წერილისა, რომელიც დაიბეჭდა 1905 წლის „სასულიერო მოამბის“ 23—24 ნომერში („შენიშვნები თბილისის ქართველ სამღვდლოების 12 დეკემბრის კრების შესახებ“). ხსენებული ჩემი წერილი მხოლოდ ნასახი, მხოლოდ ერ-თი ნაწილი იყო იმ აღმაშფოთებელ ძალმომრეობისა, რომელიც დიაკონ-მედავიონებმა ჩაიდინეს 12 დეკემბრის კრებაზედ. ამიტომ არ მეგონა, თუ დიაკონები და მედავიონები კრინტს დაძრავდნენ ჩემის წერილის წინააღ-მდეგ. მაგრამ ამ შემთხვევაში ერთი სრულიად უბრალო და ადვილად გასა-გები პსიხოლოგიური კანონი მოქმედობს. ესთქვათ, ვინმე კოპწია და თავის სილამაზის მოტრფიალე ქალს ერთი ვეება და სახიჩარი მუწუკი გამოუვიდა სახზედ. იგი ჯერ თითქოს ყურადღებას არ აქცევს ამ მუწუკს, მაგრამ რო-ცა სარკვეში დაინახავს მას, ან ვაი-ვუის მოთქმას მოჰყვება და ან თავს იმით ინუგეშებს, რომ სარკვე სტყუის, თორემ როგორ შეიძლება, რომ ასეთი მუწუკი მქონდესო. თბილელ დიაკონებ-მედავიონებმაც სწორედ ამ ნუგე-შის გზას მიმართეს და სამი თვის სიჩუმის შემდეგ „სასულიერო მოამბის“ მერვე ნომერში დასტამბეს კოლექტიური გოდება, რომლის უმეტესი ნა-წილი, თითქმის $\frac{9}{10}$ ჩემ წინააღმდეგ არის მიმართული, და შესაბრალის კილოთი თავიდან ბოლომდინ იმას მოთქვამს, რომ მწიორის წერილი ძლიერ ცუდი სარკვე ჩვენის მოქმედებისაო. ვეთანხმები, რომ ცუდია ჩემ მიერ წა-მოყენებული სარკვე, მაგრამ იმით არის ცუდი, რომ... მკრთალია, ბუნდო-ვანია, ვიწროა და სავსებით ვერ ასურათებს თბილელ დიაკონ-მედავიონე-ების 12 დეკემბრის კრებაზედ მოქმედებას. მაგრამ ვეცდები შევასწორო ქვემოლ.

დიაკონების და მედავიონების წერილი თითქოს დამარღვეველი პასუხია

ჩემის ზემოხსენებულ წერილისა, მაგრამ ნამდვილად კი პირდაპირ თუ უნებლიეთ სავესებით და, წარმოიდგინეთ, ძლიერ საგულისხმოთაც ამტკიცებს ჩემს წერილში გამოთქმულ ჰაზრებს. და ვერ გაამაგია, რაზეა დავა ჩემსა და დიაკონ-მედავითნეებს შორის. რას მედავებით, მამებო და ბატონებო! მე მოგახსენებდით, რომ თქვენ თქვენი რთული მოთხოვნილებები, რომლის გულდასმით განხილვისათვის ბლომა დრო იყო საჭირო, წამოაყენეთ ისეთ დროს, როცა სამღვდელოებას ეროვნულ ეკკლესიის საჩქარო, სამკვდრო-სასიცოცხლო საკითხები ჰქონდა გადასაწყვეტი და თითო საათი მთელი წლები უღირდა, ე. ი. მზათ იყავით რამოდენიმე მანეთისთვინ საბოლოოდ და სამარცხვინოდ ჩაგეშალათ დიადი საქმე ავტოკეფალურ ეკკლესიის მართვა-გამგეობის წესდების შემუშავებისა, — და თქვენც თქვენს დღევანდელ წერილში არ უარ-ჰყოფთ ამასა და მხოლოდ იმითი იმართლებთ თავსა, რომ თუ მაშინ არა, მაშ როდისლა მოვესწრებით სამღვდელოების სრულ კრებასაო. ძლიერ მსუბუქი და თხელი საბუთია! მე ვამტკიცებდი, რომ ძალდატანებით, რომელიც თქვენ, როგორც ეკკლესიის მსახურთ, არ შეგშენით, და ტერ-რორისტულად მოაწერინეთ ხელი თბილელ სამღვდელოებას იმ პირობებზედ, რომ ამიერიდგან გაძლიონ შემოსავლის ორი მეხუთედი ნაცვლად წინანდელ ერთ მეოთხედისა. თქვენც, ამხანაგებო, თითონვე აღიარებთ თქვენს წერილში, რომ თქვენი ხმა დარჩებოდა ხმად მლაღადებლისა უღაბნოსა შინა, თუ მღვდლებისთვის „ძალა არ დაგეტანებინათ“, მოთხოვნილებათა დაკმაყოფილება „ქნერგოულად არ მგეტოხვათ“ და ძუძუს-მწოვარა ბავშვის ტირილით „არ შეგკეშებინათ“. კარგი ტირილია, როცა კინალამ შავი რაზმელები დაუსიეთ სამღვდელოებას! მე სწორედ ასე მესმის თქვენი მაშინდელი მუქარა, რომ სანამ ჩვენს მოთხოვნილებას არ დაკმაყოფილებთ, ვერც ერთი ვერ გახვალთ აქიდგანაო... მე ვამბობდი, რომ თბილელ სამღვდელოებას შემოსავლის $\frac{2}{5}$ მიცემის „თანახმოობით“ გადააქარბა თავის უფლებას, რადგანაც „დღეს თბილისის სამღვდელოება ასე თუ ისე საქართველოს სამღვდელოების მოწინავე რაზმად ითვლება; მისი ჰაზრთა დენა, მისი დადგენილება ხშირად მთელ ქართველ სამღვდელოებისთვის საერთო ხდება... უმკველია, რომ სოფლელი დიაკონ-მედავითნეები დღეს-ხვალ წარუდგენენ სამღვდელოებას ასეთსავე მოთხოვნილებებს და პირველ საბუთად თბილელ სამღვდელოების დადგენილება ექნებათ“ — მეთქი. თქვენც თქვენის პასუხით იმასლა ამტკიცებთ, რომ ჩემი ზემორე მოყვანილი სიტყვები უტყუარი წინასწარმეტყველება ყოფილა, რადგანაც თვითონვე ბრძანებთ, რომ „როგორც იმიერთ მისცეს მაგალითი თბილელს, ისე თბილელმა მღვდლებმა მისცეს მაგალითი სოფლელ მღვდლებსაო“. მე აღშფოთებული ვიყავი იმ გარემოებით, რომ საკმარისი იყო ხუთი-ოცდე წუთით პასუხის დაგვიანება მღვდლებისგან და თქვენ გაიფიცებოდით. თქვენც, ძმებო, არ უარ-ჰყოფთ, რომ მართლა გაიფიცებოდით, მხოლოდ

წარბშეუხრებლად თავს იმართლებთ იმითა, რომ თქვენ ვითომ „მღვდლებს“ ეუთყებოდით და აჩა ეჩს“. რა არის ასეთი თავისუფლება, თუ არა სიტყვების თამაშობა და ან ვინ გასურთ დააჯეროთ მაგ სოფიზმებით!? თქვენი გაფიცვა, რასაკვირველია, იმაში გამოიხატებოდა, რომ ერი ღვთიმსახურების და მღვდელმოქმედების დროს უთქვენოდ დარჩებიდა, თორემ პირად მღვდელს თავის კერძო ლოცვების დროს არც დიაკონი ესაქიროება და არც მედავითნე. მე ვწერდი, რომ თქვენ მოითხოვეთ, გადაყვანილ იქნენ თბილისიდან ის მღვდლები, რომელთაც შტატით დიაკონების და მედავითნეების ადგილები უჭირავთ, და იმავე დროს ხმა არ ამოგიღიათ იმ დიაკონებზე, რომელთა რიცხვი გაცილებით შეტია, მედავითნეები დაიბრიყვეს და მათი ადგილები დაიჭირეს იმავე თბილისში,—და თქვენც თქვენს საპასუხო წერილში ამოწმებთ ამ ფაქტსა, მხოლოდ 1) როცა დაინახეთ, რომ თქვენი მოთხოვნილება ერთობ უმსგავსი რამე გამოდგა, თერთმეტი მღვდელი ექვსად აქციეთ და 2) დიაკონების კი მედავითნეების ადგილებზე არსებობას ისეთი რამეებით ასაბუთებთ, რასაც მხოლოდ ის თუ დაიჯერებს, ვისაც თავის დღეში არც მღვდელი უნახავს, არც დიაკონი და არც მედავითნე *).

ეს იყო და ეს უმთავრესი ჰაზრები ჩემის წერილისა და თქვენც თქვენს საპასუხო წერილში საკმაოდ ამტკიცებთ ყველაფერს ამას. მაშ რაზეა ჩვენ შორის დევა, ბატონებო? ჩემის წერილის რომელი ჰაზრი გნებავთ დაარღვიოთ? შემოსავლის განაწილებაზე ხომ არა? ჰო? მაშ შეეჩერდეთ ამაზედ.

აი მე ამის შესახებ რას ვამბობდი წინა წერილში: „რა მხრითაც გინდა შეადარო ერთმანეთს მღვდელი და დიაკონი—განათლებით, თუ შრომით, თუ პასუხის-მგებლობით,—არც ერთ მხრით და არც ერთს შემთხვევაში დიაკონს შემოსავლის შესამედის მეტი აღარ ერგება“. არა გჯერათ, ძმებო, ამ სიტყვების სიმართლე? მაგრამ თქვენ როგორ დაიჯერებთ, როცა თვითონ მე, ავტორსა, არა მჯერა. მე მხოლოდ დიაკონების სიბრალულმა მათქმევინა ზემოხსენებული სიტყვები, თორემ ვინც გულზედ ხელს დაიდებს და ღვთის წინაშე მიუდგომელად იტყვის, ის იძულებული იქნება სთქვას, რომ დღევანდელ მედავითნეებს და მათ ადგილებზე მყოფ დღევანდელ დიაკონებს ერგებათ საძმო შემოსავლისა ყოველ მანეთში არა ორი აბაზი, როგორც თვითონ თხოულობენ, არა $3\frac{1}{3}$ კაპ., როგორც მე ვუთხრებდი სამღვდელოებას, არა ხუთი შაური, როგორც დღემდინ იღებდნენ, არამედ გაცილებით ნაკლები**).

*) სარწმუნო წყაროდან გავიგეთ, რომ სოფლელ მედავითნეთა ერთ ჯგუფს განუძრახავს სთხოვოს ვისაც ჯერ არს, რომ თბილისიდან პირველსავე შეძლებისათნავე გადაიყვანონ ის დიაკონები, რომელთაც მედავითნეების ადგილები უჭირავთ. ავტორი.

**) სოფლებიდან ხმა მოდის, რომ ზოგიერთ მღვდელმა თურმე წინადადება მისცეს მედავითნეებს, ან შემოსავლის მანეთში ერთ აბაზს დაჯერდით და ან სადაც მოგწონთ, იქ ებრძანდითო. ავტორი.



და აი რატომ. დავანებოთ თავი იმას, რომ საეკლესიო საბუთების წარმოება პირდაპირი მოვალეობაა მედავითნესი, სადაც დიაკონი არ არის, მაგრამ უმეტეს შემთხვევაში მედავითნესგან საბუთების წარმოება მხოლოდ თვის ბოლოს თავის სახელ და გვარის მოწერაში გამოიხატება და ნამდვილი წარმოება კი მღვდლის კისერზეა. ნურას ვიტყვი იმაზედაც, რომ მღვდელმოქმედებათა უმეტეს შემთხვევაში მედავითნის როლი „უფალო შეგვიწყალეს“ და „ამინის“ კალობით განისაზღვრება. არც იმას მივაქციოთ ყურადღება, რომ კრებულის საქმეებში პასუხისმგებელი უმეტეს ნაწილად და ხშირად ერთად-ერთი მღვდელია. ამას ყველაფერს თავი დავანებოთ და ამ შემთხვევაში საზომად მივიღოთ პროფესიონალურ განათლებაში დახარჯულ დროს, ენერჯის და ფულის რაოდენობა და მიღებულ განათლების ცენზი, თუნდაც მხოლოდ ეს უკანასკნელი — განათლების ცენზი. ქართლ-კახეთის ეპარქიაში 674 დიაკონში და მედავითნეში სამილაა სემინარია დამთავრებული (ამ სამში ქართველი ერთილაა), ხოლო დანარჩენები არიან მონასტერში და შინ ნასწავლნი, სასულიერო სასწავლებლის დაბალ კლასებიდან გამოსულნი და იშვიათ შემთხვევაში სასულიერო სასწავლებელ გათავებულნი. წარმოვიდგინოთ, რომ 674 დიაკონ-მედავითნეში გარდა სამის სემინარიელისა დანარჩენებს სულ სასულიერო სასწავლებელი გაუთავებიათ (რაც მხოლოდ სიზმარში შეგვიძლიან წარმოვიდგინოთ.) იყოს ასე. ვთქვათ, რომ 671 სასულიერო სასწავლებელში „კურს-დამთავრებულნი“ რომელსაშე სხვა სამსახურში, სხვა უწყებაში შევიდნენ. მერე რას მიიღებდნენ? ორთა შუა რიცხვით არა უმეტეს 25—20 მანეთისა თვეში და ისიც ქალაქში, სადაც ცხოვრება ძვირია. მაგრამ დღეს ხომ სოფლის უკანასკნელ, სრულიად უვიც მედავითნესაც ეძლევა ამდენი, თუ სახეში მივიღებთ მუქთა ბინას და სოფლის ცხოვრების შედარებით იაფობას, ხოლო სასულიერო სასწავლებელში მართლა კურს-გათავებულ მედავითნეებს სოფლებში და ქალაქის ყოველ მედავითნეს გაცილებით მეტი ეძლევათ.

გარდა ამისა: 1) ყოველი მედავითნე, შთამამავლობით გლახი, მედავითნედ დანიშნის დღიდანვე ხდება საპატრიო მოქალაქე და არამც თუ თითონ, მისი შვილებიც კი, მაშინ როდესაც ნამდვილი მუშაკი — სოფლის მასწავლებელი მხოლოდ ხანგრძლივ სამსახურის შემდეგ ეღირსება ამ ხარისხს; 2) მედავითნეების შვილებს უფლება აქვთ უფასოდ მიიღონ სწავლა სასულიერო უწყების ყველა სასწავლებლებში და უტყუარი ფაქტია, რომ ამ სასწავლებლებში კრებულთა დაბალ წევრების შვილები ვაცილებით მეტია მღვდლების შვილებზე; 3) მედავითნის სიბერე უზრუნველყოფილია სახელმწიფო პენსიით, რომელიც თუმცა დიდი არაა (100 მან.; თუ დიაკონობა მიიღო, 200 მან.), მაგრამ სხვა უწყებათა მოხელეთათვის ხშირად ხელმიუწლომელია; 4) მედავითნის ქვრივობებს ეძლევათ ხან ერთჯამიერი, ხან

დრო-გამოშვებითი დახმარება უწ. სინოდის და საეპარქიო სამზრუნველოს თანხიდან, ყოველწლიური პენსია და სხვანი და სხვანი. ეს ყველაფერი უფრო მეტად ითქმის დიაკონზე და მის ქვრივ-ობლებზე. სჩანს, რომ დიაკონები და მედავითნეები ისე არ ყოფილან დაჩაგრულნი და დაბეჩავებულნი, რამდენათაც ჰგოდებენ. სად, როდის და რომელ უწყებაში მიიღებდნენ დიაკონები და მედავითნეები თავიანთ განათლებისა და შრომისდაგვარად იმაზედ მეტს სასყიდელს და სხვა და სხვა უპირატესობას, რასაც დღეს სასულიერო უწყებაში იღებენ? — ვერსად, ვერასოდეს და ვერც ერთ უწყებაში.

მაგრამ ნუ დავივწყებთ, რომ 1) მე აქ მაგალითად ავიღე სასულიერო სასწავლებელში კურს-დამთავრებული დიაკონი და მედავითნე და ნამდვილად კი ძნელად თუ ათში ერთს გაუთავებია სასულიერო სასწავლებელი და დანარჩენი ცხრა სასულიერო სასწავლებლის დაბალ კლასებიდგან გამოსულნი, მონასტრებში და სოფლის სკოლებში ნასწავლნი და შინაურ განათლებისანი არიან, მაშინ კი როდესაც, როგორც ქვემოთ დავინახავთ, მღვდლების მესამედზე მეტს უმაღლესი და საშუალო განათლება მიუღია (სასულიერო სასწავლებელში კურს-დამთავრებულებს არ ვიღებთ სახეში), — და 2) ფრიად დიდი ნაწილი მედავითნეებისა ხშირად 5—10 წლის განმავლობაში, სანამ რამეს შეიძენს და წელში გაიმართება, უცოლ-შვილოდ რჩება, მაშინ კი როდესაც ყოველი მღვდელი კანონით ვალდებულია, რომ ჯერ კიდევ მღვდლობამდინ შეებას ოჯახის უღელში.

აი, ერთ მხრით, ეს დაუმსახურებულნი უპირატესობანი, რომელნიც სხვა უწყებათა მოხელეებთან შედარებით ეძლევა დიაკონ-მედავითნეებს, და მეორე მხრით, ის ვეგებერთელა განსხვავება, რომელიც არსებობს მღვდლისა და მედავითნეს შორის განათლების, შრომის და ოჯახის პირობების მხრით, — მქონდა სახეში, როცა წინა წერილში დავსვი ასეთი კითხვა: „იმ სოფლელ მღვდელმა, რომელმაც საშუალო განათლება მიუღია და ხუთ-ექვს შვილსა ზრდის სხვა და სხვა სასწავლებლებში, თბილისელ სამღვდლოების მიზანძვით, მისცეს თუ არა მანეთში ორი აბაზი იმ დიაკონს, რომელსაც სასულიერო სასწავლებლის კარებიც არ უნახავს და საკუთარ თავის მეტი არავინა ჰყავს შესანახი?“ — და ის დასკვნა გამომყავდა, რომ მედავითნეს მესამეზედ მეტი არ ეკუთვნის-მეთქი. მესამედის მიცემას იმით ვასაბუთებდი, რომ „საეკლესიო კრებულის დაბალ წევრების მდგომარეობას უსათუოდ ესაქიროება ასე თუ ისე გაუმჯობესება“ — მეთქი. ე. ი., უფრო მარტივად რომ ვსთქვათ, სასურველია მღვდლებმა მედავითნეებს აღმოუჩინონ ძმური, მამა-შვილური ქონებრივი დახმარება და მისცენ მათ შემოსავლის მესამედი, თუნდაც მედავითნეები ამის ღირსნი აღარ იყვნენ. აი ეს ჰაზრი იყო გატარებული ჩემს წინა წერილში. თორემ თუ მიუღვამლობაზე, კანონზე და ნამდვილ ღირსებაზე მიდგა საქმე, მაშინ მედავითნეებს, როგორც ზემოთ დავინახეთ, ერ-

გებათ არა ხუთი შაური, როგორც ღღემდინ იღებდნენ, არამედ ტატილებით ნაკლები. მღვდელს 75 კაპ. და მედავითნეს 25 კაპ. იმ დროს დაუწესდათ, როცა ორივე ერთნაირის განათლებისა, ე. ი. უსწავლელნი იყვნენ დღეს კი მღვდელმა განათლებით და შრომითაც წინ გაასწრო მედავითნეს და უწინდელზე მეტ სასყიდლის ღირსია.

ღიაკონები და მედავითნეები სტატისტიკურ ცნობებსა მთხოვენ იმის დასამტკიცებლათ, რომ მღვდლები ცოლ-შვილიანები და უფრო მაღალ განათლებისანი არიან, ვიდრე ღიაკონები და მედავითნეები: „ალბათ სტატისტიკური ცნობები ექნება ბ. მწირსაო“. ღიახ, მაქვს და აი მოგახსენებთ. პირველი სტატისტიკური ცნობაა თვით გონება, რომელიც ამ შემთხვევაში როგორღაც დავიწყებით ჩემს ოპონენტებს და რომელიც გვეუბნება, რომ მღვდელი ვალდებულია ჯერ კიდევ მღვდლობამდინ დაოჯახიანდეს, მაშინ კი როდესაც მედავითნეს სრული უფლება აქვს, რომ როცა ინებებს, მაშინ შეებას ოჯახის უღელში, ხოლო თუ ვინმე მღვდელთაგანი ან დაქვრივდება და ან უშვილო გამოვა, ეს არაფერს ამტკიცებს საერთო მოვლენის წინააღმდეგ. სტატისტიკური ცნობანი, რომელიც ღიაკონებს და მედავითნეებს მოჰყვათ „ცნობის ფურცლიდამ“, შეება მთელს საექსარხოოსს, ხოლო ჩვენი საკითხი—ქართლ-კახეთის ეპარქიას და ამიტომ სტატისტიკური ცნობებიც ქართლ-კახეთის ეპარქიას უნდა შეებაოდეს. აი ეს ცნობები, რომელიც ინახება ექსარხოოსის კანცელარიაში.

1904 წელს (1905 წლის ანგარიში ჯერ არ შემდგარა) ამ ეპარქიაში იყო: აკადემიკო 4 დეკანოზი, 7 მღვდელი და, რასაკვირველია, არც ერთი ღიაკონი და მედავითნე; სამინარეკო 12 დეკანოზი, 241 მღვდელი, 3 ღიაკონი (ამავე რიცხვში ორი რუსი) და არც ერთი მედავითნე; სასულიერო სასწავლებლის და შინაურ განათლებისა 411 მღვდელი, 115 ღიაკონი და 111 მედავითნე. გამოდის, რომ ეპარქიის მღვდლების მესამედზე მეტი საშუალო და უმაღლესი განათლებისაა, 118 ღიაკონში სამსლა მიუღია საშუალო განათლება და მთელ ეპარქიაში არ ყოფილა არც ერთი ღიაკონი საშუალო განათლებისა.

ამ მრავალმნიშვნელოვან სტატისტიკასთან მ. ცინცაძე გვიქადაგებს: „საქართველოს სამღვდლოების დღეგატა კრებამ მღვდლისა და მედავითნის განათლების ცენზი ერთგვარი დაწესა—საშუალო განათლება (§ 23); ხოლო საშუალო განათლების კაცი რომ წავიდეს მედავითნეთ, ამისათვის საჭიროა, რომ თვით სამღვდლოებამ მეტი პატივი და თანაგრძობა გამოუცხადოს მედავითნეთ, —სამშო შემოსავლისაგან $\frac{1}{3}$ მიცემაც ამ თანაგრძობისა და პატივისცემის გამოხატველია“ („სასულ. მოამბე“ 1906 წლისა № 4, გვ. 10—11). სავსებით ვეთანხმებით მ. კალისტრატეს იმაში, რომ დღეგატა კრების დადგენილება ცენზის შესახებ მართლაც გონიერია, მაგრამ

თვით მ. კალისტრატეს სილოგოზმის დასკვნა ლოდიკურად არ გამომდინანეობს წინ მოყვანილ საბუთიდგან. სამღვდელოებამ „მეტე პატივი და თანაგრძობა“ უნდა გამოუცხადოს სწორედ საშუალო განათლების მედავითნეს, ე. ი. მამაჯაღს, რომელიც ჯერ კიდევ არ ვიცით, მოგვევლინება თუ არა ოდესმე,—და არა დღევანდელ მედავითნეს, რომელიც მონასტერმა და „გულკეთილ“ ბლალოჩინმა შეჰქმნა. მაშასადამე, შემოსავლის ორი მეხუთედის მიცემა ჯერ-ჯერობით იქნება არა პატივი და თანაგრძობა მომავალ განათლებულ მედავითნესადმი, არამედ დღევანდელ მდგომარეობის მოწონება და საშუალოდ დაკანონება იმ სამწუხარო მოვლენისა, რომ მედავითნეთა ინსიტუტი მომავალშიაც კვლავინდებურად უფიცი დარჩეს და სამღვდელოების შემოსავლის თითქმის ნახევარი ისეთ პირებს მიეცეს, რომელთაც ფერისცვალების მონასტერში, სიონში, ანჩისხატში, ქაშვეთში და დიდუბეში „სტოროკობის“ დროს უსწავლიათ მედავითნეობა. საერთოდ მ. ცინცაძის მიერ რჩეული წესი შემოსავლის განაწილებისა ძლიერ საგულისხმოა. ყოველ შემთხვევაში, ჩემის ჰაზრით, თუ ვინმე წააგებს ამ წესის შემოღებით, მხოლოდ დიაკონები და მედავითნეები. ზნეობრივად კი ეს წესი ორივე მხარესთვინ საზარალოა, რადგანაც დაბადებს მათ შორის ქიშპს და იმაზედ მეტს უთანახმოებას, რაც აქამომდე იყო. სასურველია, რომ მ. ცინცაძის პროექტი წარედგინოს ეპარქიის სამღვდელოების მომავალ კრებას განსახილავად.

დარჩა რამოდენიმე წერილმანი, რომლებზედაც საჭიროდ მიმაჩნია მხოლოდ მოკლე პასუხი გავცე ჩემს ოპონენტებს. მე ვამბობდი, რომ 12 დეკემბრის კრებაზედ დელეგატების არჩევაში „თეთარ სამღვდელოებამ თითქოს ძალდატანებით წაართვა ბერებს ის უფლება, რომელიც უკანასკნელთ დღემდინ ეკუთვნოდა“, ე. ი. დეპუტატების არჩევაში ხმა. დიაკონები და მედავითნეები კი ამბონენ: „კრებამ ბერებს კი არ წაართვა ეს უფლება, არამედ თვით მათ წაართვეს თავის თავს ეს უფლება, როცა ბერობის აღთქმასა სდებდნენ“. ძმებო და ამხანაგებო! ჩვენ სულ სხვა და სხვა წერტილებზედ ვდგევართ. მე მოგახსენებთ იმ წეს-რიგზე, რომელიც დღემდის არსებობდა და როელიც ბერებს სამღვდელოების კრებაზედ ხმას აძლევდა. თქვენ კი ბძინებთ იდეალურ წესრიგზე, რომელიც შეიძლება სულ სხვანაირი იყოს, ვიდრე მე და თქვენ გვგონია. ყოველ შემთხვევაში ან მღვდელს და ან ბერს უფრო შეჰფერის ამ საგანზე პასუხი და მსჯელობა, ვიდრე თქვენ.

თქვენ ძლიერ გაინტერესებთ ჩემი ვინაობა: ან მღვდელია და თვითონ რამე დააკლდა, ან დიაკონის აჯილზედ მყოფი მღვდელიაო. თითქოს, ამხანაგებო, სულ ერთი არ იყოს, ვინ გამოთქვა ჩემ მიერ გამოთქმული ჰაზრები—მღვდელმა, ბერმა თუ ერმა! თქვენ უნდა ებრძოლოდ ჩემს ჰაზრებს, თუ არ მოგწონთ, და არა ჩემს პიროვნებას. ამას მოითხოვს სულ უბრალო სამწერლო ეთიკა, თუ თქვენ გწამთ იგი. თქვენ ჩემ ჰაზრების სიყალბეს იმიტ

ამტკიცებთ, რომ მე, როგორც თქვენ ბრძანებთ, „ფსევდონიმს ამოვეფარე“. მაგრამ ეს არაფერი საბუთია— მთელი ქვეყნიერებაზედ ძნელად თუ ოც მწერალში ერთი აწერს ეურნელ-გაზეთში პირდაპირ თავის სახელს და გვარსა, მაგრამ ეს, მგონი, კიდევ იმას არ ნიშნავს, რომ დანარჩენი ცხრაშვიტი სტყუიან. მე მიკვირებთ იმისთვის, რომ „ფსევდონიმს ამოვეფარე“. მ. ილ. ჯამშა სრული სახელი და გვარი მოაწერა, და ეუბნებით „ქრელი“ ხარო. მაშ მობრძანეთ, რა ენით შეიძლება თქვენთან მსჯელობა?

თქვენ გიკვირთ ჩემი სიტყვები: „მრევლს არ უნდა და სასურველიცაა, რომ არ უნდოდეს ისეთი არც მღვდელი, არც მთავარი და არც მედავითნე, რომელიც მხოლოდ ფულისათვის ემსახურება ეკკლესიას. შორს ეკკლესიისაგან, ანგარება!“ მე არ მესმის, ამხანაგებო, რამ აგაღელვათ! ამას გაიძახის დღეს მთელი სამღვდლოება, ამ იდეალისკენ მიისწრაფის მორწმუნე ნაწილი საზოგადოებისა. ვისაც ამ სიტყვების დიადი ჭეშმარიტება არა სწამს, იგი არამც თუ ეკკლესიაში არ უნდა მსახურებდეს, მორწმუნეთა რიცხვშიც კი არ უნდა ერიოს. თქვენ კი ამის პასუხად ამოგიწერიათ სახარებიდგან რამოდენიმე სტრიქონი, რომელსაც ჩემგან აღძრულ საკითხთან არა აქვს რა საერთო, და საერთოდ თქვენ თქვენს წერილში ხშირად აწუხებთ წმ. სახარებას, მაშინ კი როდესაც ამ საკითხის გადაწყვეტაში უფრო საჭირო იყო გონება და საცხოვრებისა გამოცდილება... ცოტა ჭკემოდ თვითონვე ამტკიცებთ, რომ თქვენ მართლა მხოლოდ ფულისთვის ემსახურებით ეკკლესიას, რადგანაც მტკიცედ გრწამთ, რომ „ცარიელ ჯამში ხელს არაფინ ჩაჰყოფს“ ეს ნაადრევი წინასწარმეტყველებაა. ეს ერთი. მეორეა და—თქვენ უფრო მალალ რწმენისა და ლტოლვილებისა ეგონეთ სამღვდლოებას და საზოგადოებას და ნეტავიმც ისე უკამბედალ და ცუდი მხრით არ გამოგვაშკარავებინათ თქვენი ზნეობრივი ფიზიონომია.

თქვენ სწერთ: მღვდლები უსწავლელ დიაკვანს რჩეობდნენ ვიდრე ნასწავლსა და ამის მისაღწევად ყოველ საშუალებას ხმარობდნენო. ადამიანმა უნდა დაჰგო და სამუდამოდ უარჰყო სინიდისი, ეს სიტყვები რომ ამოუშვა პირიდგან. პირველად, მედავითნეების დანიშვნა სრულებით არ ეკითხება მღვდლებსა, მათ ნიშნავს საეპარქიო მთავრობა და, მეორედ, მღვდლები ნასწავლ მედავითნეებს უფრო ეშურებოდნენ, ვიდრე უსწავლელს, ამისი აუარებელი საბუთი მგონი ყველას საკმაოდ აქვს. აზა მიჩვენეთ თუმც ერთი შიძთხვევა, როცა მღვდელს ეთხოვოს, ჩემი მედავითნე არ ვარჯა, რადგანაც ნასწავლია, და გთხოვთ, რომ უსწავლელი მედავითნე დამინიშნოთო. ქვემოდ განავრძობთ: „სწორედ ამ მიზეზით ხდება, რომ მინამ ქალაქში ადგილს ეღირსებოდეს ნასწავლი, ჯერ კახიანი უნდა სოფელში იყვეს და იცადოს, ვიდრე წყალობის თვალით შემოხედავდეს ვინმე, გაუნათლებელი დიაკონები კი თბილისში დაუბრკოლებლივ კაი ალაგებს შოულობენ“ რა გნებათ, რომ



სთქვით მაგითა? ის ხომ არა, რომ თბილელი მედავითნეები და შით ადგილზედ მყოფი დიაკონები, ე. ი. ჩემი ოპონენტები უსწავლელნი და გაუნათლებელნი არიან? თუ ასეა, გეთანხმებით და სიტყვას ვერ შეგობრუნებთ, რადგანაც ძლიერ ცხადი ფაქტია.

თქვენ იმითი ასაბუთებთ დიაკონ-მედავითნეების თანამდებობის არსების საკიროებას, რომ ჩვენში თუ სხვაგან, თუ საკიროება არ ყოფილიყო, არც დააწესებდნენ, არ შემოიღებდნენ ამ თანამდებობსაო" თუ რამდენათ საკიროა თქვენი თანამდებობა საქმისათვის, ამაზედ სრულებით საკირო არ არის ვილაპარაკოთ მ. ილ. ჯაშის წერილის შემდეგ (იხ. „სას. მოამბე“ № 8), მაგრამ ერთ რამეს კი გეტყვი. ეკკლესიის მსახურნი ხართ, ასე თუ ისე სოფლელ გლეხზე მალა უნდა იდგეთ, მაგრამ თქვენ ამ სიტყვებით სულ სხვას ამტკიცებთ. ტეტიაც კი მიხვდა, რომ იმაში, რაც არსებობს და რაც დროთა განმავლობაში დაწესებულა, ბევრი რამეა მეტი და მანებელი, — და თქვენ კი იძახით, რომ საკირო არ ვყოფილვით, არც კი დააწესებდნენ ჩვენს თანამდებობასაო. გამოადის, რომ ყოველნაირი თანამდებობა, რაც ოდესმე შემოუღიათ, დროის შესაფერისი წეს წყობილება, რომელიც ოდესმე დაწესებულა, და ერთობ ყველაფერი, რაც არსებობს, წმიდა, ხელ-უხლებელი და სამუდამოა და, მაშასადამე, არც რეფორმებია საკირო, არც პროგრესი და არც ევოლიუცია. ასეა არა?

კიდევ ბევრი რამე ითქმის მ. მ. დიაკონების და ბ. ბ. მედავითნეების წერილის „ღირსების“ და „სიმატლის“ შესახებ, მაგრამ ამ დროებით ეს ვაკეძაროთ.

დასასრულ, პროტესტს ვუცხადებ თბილელ დიაკონებს და მედავითნეებს სამწერლო ეთიკის შელახვის და დარღვევისაგამო. ჩვენგან გარჩეული წერილი დიაკონ მედავითნეების კოლლექტიური წერილია და მის ელფერი თვით დიაკონ მედავითნეების ელფერია. და აი ამ კოლლექტიურ წერილში ვხედავთ ისეთ მარგალიტებს, როგორც, მაგალითად: „მწირს მწერლობის სდერდელი აშლა“ (ნუ დავაიწყებთ, რომ დიაკონ-მედავითნეების ჰაზრით მწირი მღვდელია), „თბილელ მღვდლებს გაუმტრეკლებათ თავიანთ ნაშახურობითს სიაში“, „არც თუ ქადაგება-სწავლა-დარიგების წარმოთქმა კხადისუბათ მღვდლებს და, თუ დასკირდებათ, სხვა წიგნებიდგან უნდა გადმოიწერონ შხა მხარეულად“, „ზოგიერთი მღვდლები თბილისში გამბტეკედნენ“ და სხვანი და სხვანი. რას ნიშნავს ასეთი უკადრისი სიტყვები მთელ კოლლეგიისა, თუ არ თვით კოლლეგიის შეუგნებლობას!? დიაკონი თუ მედავითნე როგორ სწირავს იმ მღვდლებთან, რომლებსაც ასეთ სიტყვებით იხსენიებს!? ვაფრთხილებთ მ. მ. დიაკონებს და ბ. ბ. მედავითნეებს, რომ მომავალში სრულიად უყურადღებოდ და უპასუხოდ დავტოვებთ მათ პასუხს, თუ უფრო ახლო არ შეისწავლიან სამწერლო ეთიკას. ერთობ დიაკონ-მე-

ღობა, წესი და სიყვარული. არიან დიაკონ-მედავითნეთა შორის ისეთი გრდავითნეების დღევანდელი წერილი იმ მძაღვ გრძნობას ჰბადებს მკითხველში, რომელსაც ჰქვია „თავგასულობისაგან აღშფოთება“.

მწერი.

შენიშვნა:

ძლიერ კარგი იქნება, რომ ამის შემდეგ მოსაზრებანი სამოა შემოსავლის გაყოფის შესახებ წარედგინოს სამღვდლოების კრებას განსახილველად, და ჩვენის გამოცემის ფურცლებზე კი მათ ნაცვლად იბეჭდებოდეს წერილები საღმრთისო, უფრო მეტად საყურადღებო, საკითხების შესახებ.

რედ.

ჩემს ოპონენტებს ქალ. ტფილისის დიაკონებს და მედავითნეებს.

(დასასრული *).

გადავიდეთ მედავითნეებზე და განვიხილოთ მათი მნიშვნელობა. ეხლანდელი მედავითნე ასრულებს ორს მოვალეობას: წამკითხავის და მგალო ბლისას. წამკითხავები გაჩნდნენ I საუკუნეში. იგინი ეხმარებოდნენ ღვთის მსახურებაზე და ეკუთვნოდნენ ეკლესიის კრებულს. მე-II-ე საუკუნეში მათ მიეცათ ნება ქადაგებისა საეკლესიო კრებებზე. რა მნიშვნელობა ქონდათ მათ მე-III-ე საუკუნის დასაწყისში, ეს სჩანს იმავე დროის მწერლის კომპოდიანის სიტყვებიდან: „თქვენ ხართ ხალხში ყვავილნი, — ეუბნება ის წამკითხავებს, — თქვენ ხართ ქრისტეს მნათობნი, გახსოვდეთ თქვენი ღირსება და ნუ დაივიწყებთ მას. მე-III-ე საუკუნეში ქადაგების თქმა დაევალოთ ეპისკოპოსს და მღვდელს, ამისთვის წამკითხავებმა დაჰკარგეს თავიანთი მნიშვნელობა და ჩაირიცხნენ ეკლესიის მოსამსახურეთა ჯგუფში. ამავე საუკუნის შუახანებში რომის პაპიმ კორნელიმ წამკითხავები მოაქცია ეკლესიის მეკარეთა და დამკრულველთა გუნდში. ამის შემდეგ წამკითხავები ვალდებულნი იყვნენ ცოდნოდან შექანოკური კითხვა. იმ დროიდან დაწყებული დღევანდლამდის წამკითხავებს სხვა არივითარი მნიშვნელობა არა ჰქონიათ ეკლესიაში ¹⁾.

*) იხ. „სასულ. მოამბე“ № 8.

¹⁾ „ჰენზ. სავ. უწყ.“ № 2.

მგალობელნი, როგორც განსაკუთრებული წოდება, ადრე გაჩნდნენ ეკლესიაში. მათი თანამდებობის დაარსება გამოიწვია არა მარტო ღვთის-მსახურების წესების გაფართოვებამ, არამედ საქიროებამ გაეწიათ წინააღმდეგობა მწვალებელთათვის (გნოსტიკები, მანიქველნი), რომელნიც გალობის საშუალებით იზიდავდნენ ხალხს და ავრცელებდნენ თავიანთ ცრუ სწავლას. რადგანაც მგალობელნი საქირონი იყვნენ ეკლესიისთვის, ამიტომ შემდეგში ჩარიცხულ იქმნენ კრებულში. მე-IV-ე საუკუნეში მათ მიეცათ უფრო მეტი მნიშვნელობა და დაევაღათ დამორჩილებოდნენ საეკლესიო კანონებს.

რომ წერილი არ გაგრძელდეს, მოკლედ მოვსპირით სიტყვას. შემდეგში წამკითხავის და მგალობლის შოვალეობის შესრულება მიენდო ერთს პირს, რომელსაც ეხლა ჩვენ ვუწოდებთ მედავითნეს. რა არის ეხლანდელი მედავითნე? განა შეიძლება ითქვას იმაზე, რომ იგი არის „ყვავილი ხალხში, მნათობი ქრისტესი?“ „ჩვენი მედავითნეები,—ამბობს ვაზ. „ცერკოვნი ვესტნიკი“, სრულიად გაუნათლებელი არიან, იგინი აკვირვებენ კაცს საღვთის-შეტყველო საგნებისა და საეკლესიო ისტორიისა უცოდინარობით ²⁾ კარგი მედავითნე ყოვლის უპირველეს არის კარგი წამკითხავი და მგალობელი; მხოლოდ შეგნებული და მოწიწებით კითხვა-გალობა შესაძლოა მარტო საღვთის შეტყველს ხადაგზე ჩვენი მედავითნეთა კონტინგენტს—კი უმეტეს ნაწილად სრულიად უსწავლელები ანუ სასულიერო სასწავლებლიდან და სემინარიის დაბალ კლასებიდან გამორიცხული მოწაფეები შეადგენენ. მედავითნეებად მიდიან ადვილი შრომის მოყვარენი, ზარმაცნი, გონებაგანუვითარებელნი. ყველა ეს გვაძილებს ვიფიქროთ, რომ აწინდელ მედავითნეს არა აქვს და არც შეიძლება ჰქონდეს ცოცხალი ნათესაობრივი კავშირი სამრევლოსა, ტაძარსა და მღვდელთან.

მედავითნე შეცდომით ითვლება სასულიერო წოდებაში; იგი არ არის ხელდასხმული, მწესდება მარტო „რეზოლიუციით“. მედავითნეების მოვალეობას ზოგიერთგან—უმეტეს ნაწილად ქალაქებში—ასრულებენ მგალობლები და მოყვარულნი საეკლესიო წიგნების კითხვისა, ე. ი. გარეშე პირნი. შეიძლება ამის შემდეგ ითქვას, რომ მედავითნე არის კრებულის საქირო წევრი; არა. მაგ., თბილისში ბევრგან მღვდლების მიერ დაქირავებულნი პირნი ასრულებენ მედავითნის მოვალეობას. ყურადღების ღირსია ის გარემოება, რომ ნებით დაქირავებული მედავითნენი უფრო მუყაითნი და ერთგულნი არიან, ვიდრე მთავრობის მიერ განწესებულნი. ეს ასეც უნდა იყოს. რადგანაც დიაკონებს და მედავითნეებს ნიშნავს მთავრობა, ამიტომ იგინი ამაყად ექცევიან მღვდლებს, არ ემორჩილებიან და ხშირად კიდევ უჩივიან. იშვიათია ისეთი კრებული, მეტადრე თუ დიაკონი ურევია, რომ იქ სუფევდეს მშვი-

ნება დახშულნი და საჩივრის მოყვარენი, რომ მღვდლის შეცდომებს „ქრონოლოლიურის“ რიგით უბის წიგნებში იწერენ, რათა, თუ ვინიცოხა გარემოებამ მოითხოვა, მთავრობას დასაბუთებული საჩივრის ქალაქი წარუდგინონ. ფრიად სამწუხარო მოვლენაა ეს. ზოგიერთი დიაკონ-მედავითენი ისეთს შთაბეჭდილებას ახდენენ, თითქოს განგებ მზვერავებად იყვნენ მღვდლებთან მიჩემბულნი. მღვდელი მ. კომერიციკი სწერს ვაზ. „პოლტავ-შინაში“ (№ 10 - 1905 წ.): „მედავითენე არის შინაური მტერი, მიჩემბული მღვდელთან კონსისტორიის მიერ“³⁾. ჩვენმა დიაკონ-მედავითენებმა აშკარად დაამტკიცეს 1905 წ. 12 დეკ. სამღვდლოების კრებაზე, ის, თუ როგორ ექცევიან ეკლესიას: აი რას სწერს ამის შესახებ ბ. მჭირი: „სამღვდლოებას 12 დეკემბრის კრებაზედ უსათუოდ და ყოველივე დაბრკოლების მიუხედავად უნდა აერჩია დელეგატები, რა ფასშიაც უნდა დაჯდომე ეს არჩევნები, რადგანაც საქართველოს სხვა და სხვა მხრიდან დელეგატები უკვე ჩამოსული იყვნენ და თბილისის დელეგატების არჩევას უცდიდნენ, შობის დღესასწაულები და რკინის გზის გაფიცვა ახლოვდებოდა და საქირო იყო საქმის ყოველნაირად დაჩქარება, ხოლო ამავე დროს დიაკონები და მედავითენები დაჟინებით გაიძახოდნენ, დაუყოვნებლივ დააკაყოფილეთ ჩვენი მოთხოვნებიანი, თორემ დელეგატების არჩევაში მონაწილეობას არ მივიღებთ და ამ საათიდან გაფიცუებით“⁴⁾. ამ სიტყვებს განმარტება აღარ ეჭირვება.

12 დეკემბრის კრებას ჩვენც დავესწარიით. მან მოახდინა ჩვენზე გულშემაწუხებელი შთაბეჭდილება. სწორეთ იმ დღიდან დავრწმუნდით, რომ დიაკონ-მედავითენებს არა აქვთ ეკლესიასთან ნათესაობრივი კავშირი. ცალკე ორგანიზაციის დაარსებით⁵⁾ მათ დაამტკიცეს, რომ იგინი სულიერად არ ეკუთნიან ეკლესიის კრებულს. თუ ამას ჩვენ მივუმატებთ დიაკონობის და მედავითენობის მნიშვნელობის დაცემას, მაშინ ცხადათ დავრწმუნდებით, რომ მათი არსებობა მეტია. ჩვენ გვჯერა, რომ განახლებული ეკლესია უარს ჰყოფს ძველებურს „ანგელოზებს“ და „წინასწარმეტყველებს“. „მნათობნი“ ქრისტესნი და „ყვაილნი ხალხში“ იქმნებიან მხოლოდ ხუცესნი, მქონებენი საკუთარის მახვილი „ყურებისა“, შორსმჭვრეტი „თვალებისა“ და უანგარო „ხელებისა“.

მღ. ი. ჯაში.

³⁾ „პოლტავ. საგვ. უწყ.“ № 5.

⁴⁾ „სასულ. მოამ.“ №№ 23—24—1905 წ.

⁵⁾ იხ. „სასულ. მოამბე“ № 5—1906 წ.

რა გეგჭირუება?

(“შენიშვნები სოფლის მღვდლისა”)

რა მდგომარეობაში იმყოფება ამ უკანასკნელ დროს ჩვენი სამღვდელოება, ცოტად-თუ-ბევრად ყველასათვის ცხადია. ის ხალხი, რომელიც თექვსმეტი საუკუნის განმავლობაში სულის სამაგალითო სიძლიერით და თავდადებით იბრძოდა თვისი სარწმუნოების დასაცველად და რომელიც დიდის ხნის განმავლობაში თანაგრძობით ვაპრობოდა სარწმუნოებრივ სიწმიდეთა და სამღვდელო წესებს, დღეს ყოველსავე ამაზე გულაჯრუებულია. რამ მოუშადა ნიადაგი ამ მოვლენას, რა წამალი დაედება მას ნორმალურ კალაპოტში ჩასაყენებლად? აი ის საკითხი, რომელიც ითხოვს მიუდგომელს, ღრმად ჩახედულს და გულ-წრფელს ანგარიშს. შევვებით ამ საკითხის გამოკვევას, რაძდენადაც ეს შეგვიძლია, — მხოლოდ მოკლედ ვილაპარაკებთ.

მართალია, პრობაგანდა პრინციპიალურად შეეხო სარწმუნოებას, უარყო სამღვდელო წესები, მაგრამ ხალხის უმრავლესობას რომ სარწმუნოებრივ ზნეობრივი წარმოდგენა განვითარებული ჰქონოდა, სცოდნოდა ქრისტიანობრივი სარწმუნოების შინაარსი, სული და გული, მაშინ სხვა იქნებოდა. მაშინ ხალხი ადვილად მიხვდებოდა ნამდვილ საქროებას, ნამდვილ აზრს სარწმუნოებრივი ძოძრეობისას, სტიქიურ ძალასაც არ მიმართავდა, და სარწმუნოების წინააღმდეგი პრობაგანდაც ფეხს ვერ მოიკიდებდა. ზოგნი ამბობენ „ხალხმა შეიგნო და ამიტომაც უარყოფს სარწმუნოებრივ-ზნეობრივ მოთხოვნილებას, საეკლესიო და სამღვდელო წესებსო“. მაგრამ ეს ასე არ არის. პირიქით, ხალხს ეს სარწმუნოებრივი უცოდინრობით მოდის. განათლების რომელ საფეხებზედაც უნდა იყვეს ხალხი, მისი უმრავლესობა სარწმუნოებას ვერ შეიღწევა: ამას გვიმტკიცებს ისტორიული მეცნიერება...

წინედ ხალხს აკმაყოფილებდა სარწმუნოების მარტო გარეგანი მხარე, წირვა-ლოცვა, სამღვდელო წესების ასრულება. მაგრამ ის დრო წავიდა. ცხოვრება გართულდა, მრავალმხრივ გაღიშალა, ხალხს წინ წამოუყენა მრავალ გვარი სარწმუნოებრივ-ზნეობრივი საკითხი, გაუჩინა ახალი მოთხოვნილება. ამიტომაც აღარ ეყო მარტო წესების ასრულება. ხალხი კარგი ხანია საქროებას სარწმუნოების შინაარსის ქრისტიანობრივი მოძღვრების შეგნება-განვითარებას. სამღვდელოებაც წინადაც უნდა მიმხვდარიყო ხალხის ამ საქროებას და დაეკმაყოფილებია იგი, თორემ ახლა ყურის მოყრუება მაინც აღარ შეიძლება. საქმე ის არის, რა პირობებში მოახერხებს ამას? —

მაშინ, როდესაც თითონ არის განვითარებული, ესმის იდეალი თავის დაბნულულებსა, გათვალისწინებული აქვს მიზანი თავის სამსახურისა, თვალყურს ადევნებს თანამედროვე ცხოვრებას, ესმის მისი სიაყარვე და შეუძლია პასუხი გასცეს მათ.

ამიტომაც ჩვენ წინდა წინ უნდა გველონა რაზე, რომ ამგვარი მღვდლები გვეყოლოდა, არა მარტო ქალაქის სამრევლოებში, არამედ სოფლებშიაც. დღევანდელს პირობებში კი, როდესაც ასე გამწვავებულია მდგომარეობა, როდესაც თითონ ცხოვრება ითხოვს სამღვდლო ასპარაზზე განვითარებულს, მტკიცე რწმენისა და ზნეობის, იდეალური მიმართულების კაცებს, კიდევ უსწავლელს პირთა კურთხევა მღვდლებად, სრული წინაუხედაობა იქნება, და დიდი დანაშაულიც საქართველოს ერისა და ეკლესიის წინაშე. განა, როდესაც ასეთ ცოდნას და უფლებას მოკლებული პირები მეცადინობენ მღვდლობა იზოვონ, სამსახურის მაღალ იდეალებით არიან გამსჭვალული?

— „ღარიბი კაცი ვარ, წვრილი ცოლშვილის პატრონი, თავის რჩენის სხვა წყარო არა მაქვსო“, და სხვა ამგვარი საფუძვლებით ასაბუთებენ თავიანთ თხოვნას ეს პირნი. ხალხიც დღეს სამღვდლოებას ჰკიცხავს იმისთვის, რომ ის მეტად გატაცებულია ნიეთიერი მხრით და დავიწყებია მაცხოვრის სიტყვები: „არა პურითა ხოლო ცხოვნდების კაცი“...

ექვს გარეშეა იგიც, რომ დღევანდელს ჩვენს სასულიერო სკოლებს დიდი ნაკლი აქვსთ—მათში სწავლა მიღებულითაც აკლიათ იდეალური მიმართულება, მათაც ვერ უსახელებიათ თავი, მაგრამ, სანამ ჩვენი ეკლესია დამოუკიდებლობას მოიპოვებდეს, სანამ ეროვნულ სკოლებს დაიარსებდეს და თანამედროვე ცხოვრების მოთხოვნილებათა თანახმად მოაწყობდეს სწავლებას, მანამდე მთლად უსწავლელს ის უნდა დაუყენოთ წინ, ვისაც არსებულ სკოლებში მიუღია სწავლა. სწორედ ასე იქცეოდა განსვენებული ყოვლად-სამღვდლო იმერეთის ეპისკოპოსი გაბრიელი.

მაგრამ რა ხდებოდა მის მახლობლად ამ ათიოდე წლის წინად, ჩვენ ამ ამბავს აღარ გამოუდგებით ახლა, ვინაიდან საესებით მისი დასურათება რომ შევიძლოთ, ბექდვითი სიტყვის ვითომ და თავისუფლება დღესაც არ მოგვეცემს ნებას. სულ ათიოდე წლის განმავლობაში იმდენი მღვდლის ადგილი დაიკალა, რომ ცხოვრების ნორმალური მსვლელობის დროს ერთს საუკუნეშიაც არ მოხერხდება. ყველა ამ ადგილებზე ეკურთხენ უღირსი კანდიდატები, საშუალო სასწავლებელში სწავლა-მიღებულებს კი უარს ეუბნებოდენ.

საქმე იმაშია რა ზედ გავლენა უნდა მოიპოვონ მრევლზე მღვდლობის ხარისხის მიღებით ისეთმა პირებმა, რომელთაც ერის კაცობაშიაც არ ჰქონიათ ნდობა დამსახურებული, ერის კაცობაშიაც არ ეკითხებოდენ ჰკუასა და ზნეობრივის მხრითაც ათვალწუნებულნი იყვნენ; — თვით სო-

ფლის უსწავლელი გლეხიც კი ამჩნევს, რომ უსწავლელი და მოუშაღებელი მღვდლობას მხოლოდ მოხერხებით და შუაკაცების დახმარებით აღწევს ან თითონ ასეთმა მღვდელმა როგორ უნდა შეხედოს სამღვდლო ასპარეზს, თუ არა როგორც თავის რჩენისა და დანახარჯის ასანაზღაურებელს წყაროს! ამ გარემოებამ დასცა სამღვდლოების ავტორიტეტი, ნდობა, ზედგავლენა. მან შეუწყო ხელი სამღვდლოებასა და სამწყსოს შორის განხეთქილების ზრდას, და დაიჭარა იგი.

რა ვქნათ მაშინ თუ ადგილი დაიცალა, ხოლო შეგნებული მთხოვნილი არ არის, ან არ ნდომობს მღვდლობას? პირველად სამღვდლოებამ უნდა ყოველი ღონე იხმაროს და მოსპოს ის დაბრკოლება, რის გამოც აღარ ნდომობენ მღვდლობას. ამის გარდა ყოველს ათს სამრევლოში მოიპოვება სამი ან ოთხი შტატს გარეთ მყოფი მღვდელი, რომელთაც თავისუფლად შეუძლიათ მღვდლის თანამდებობის ასრულება. მაშასადამე, შესაძლებელია კარგახანს გავაჩეროთ დაკლილი ადგილი ღირსეულ კანდიდატის მოძიებაში დის. დასასრულ, შეიძლება ზოგი შტატის ეკლესიები სრულიადაც გაავუქმოთ. მაგრამ ამაზედ შემდეგ მოვილაპარაკებთ სხვა საკითხთან ერთად.

მღვდელი დიომ. ჩხაიძე.

საშუაღღებოდ საქართველოს სამღვდლოებისა.

მოუცლელიობის გამო მარტო დღეს ვადავავლე თვალი „Перковныя Вѣдомости“-ს ამ წლის ზოგიერთ ნომრებს და მთლად სახტად დაერჩი, როდესაც გავიცანი ხსენებული ჟურნალის მეცამეტე და მეთოთხმეტე ნომერში მოთავსებული წერილი საქართველოს ეკლესიის ავტოკეფალობის შესახებ. ვითომდა ქართველი სოფლის მღვდელი სწერს: „საჭიროა ნამდვილად დღეს ჩვენთვის ავტოკეფალია, სასარგებლოა იგი, თუ ეს კითხვა ხელოვნურადაა წამოყენებული არეულობის წყალობით? ნუ თუ რუსებს სჯერათ, რომ ავტოკეფალია სურთ ქართველ მღვდლებსა და ერს? დავიჯეროთ უწმიდესი სინოდი მიაქცევს ყურადღებას საქართველოს სამღვდლოების ამ მოგონილ და არა ნამდვილ სურვილს? თუ მართლა დაიჯერა და ამით საქართველოს ეკლესია ჩააყენა უბედურსა და მწარე გარემოებაში, სინოდი პასუხს არ აგებს ამაზე მსოფლიო ეკლესიის სამსჯავროს წინაშე?..“

„ზომიერების მიმდევარ ქართველ მღვდლებს არ გვესაჭიროება არავითარი ავტოკეფალობა... ჩვენ მუდამ დღე ვლოცულობთ ეკლესიათა ერთობისათვის და არა განყოფისათვის, ქრისტიანობა უმაღლესია, ვიდრე ეროვნული ვიწრო ფარგალი, ქრისტიანობისათვის „არა არს მონება... ყველანი

ერთ ვართ ქრისტე იესოს მიერ“ (გალატ. 3, 28). ჩვენ ღრმად გვწამს, რომ აღსრუ-
 ლდება მაცხოვრის სიტყვები: „და იყვნენ ერთ სამწყსო და ერთ მწყემს“...

ამ გვარად, მოყვანილი წერილის ავქონს რომ დაეუჯეროთ, გამოდის, რომ კითხვა საქართველოს ეკლესიის ავტოკეფალიის შესახებ წამოუყენებია ქართველი სამღვდლოების სულ მცირედ ჯგუფს წინამღვდემავე სამღვდელოების დიდი უმეტესობის იმ შეგნებული და ბეჯითი რწმენისა, რომ სამშობლო ეკლესიის განთავისუფლება, ავტოკეფალობა არამც.თუ არაფრის მაქნისია, პირიქით დამღუპავი, უბედურობის მომასწავებელი საქმეა და, რასაკვირველია, ამის გამო სამღვდელოება არც ყოფილა და არც დღეს არის მისი მომხრე. თქვენ თითონ ბძანეთ, რა უნდა იფიქროს ამ წერილის შემდეგ უწმიდე მანსინოდმა ჩემს ნამუსსა და პატიოსნებაზე, როდესაც სიტყვით და წერილობით ვარწმუნებდი მას, —სინოდს, რომ ავტოკეფალიას თხოულობს საქართველოს სამღვდელოება, ესაა შეურყეველი რწმენა სამღვდელოებისა, ვერა-გვარი ქვეყნიური ძალა ვერ ამოფხვრის ამ რწმენას სამღვდელოების გონებიდან, არა-გვარ კომპრომისებზე არ გასცვლის იგი ამ რწმენას და, თუ საქირო იქნება, არც არავითარ მსხვერპლს არ დაერიდება-მეთქი ამ გულითადი საწადელის განხორციელებისთვის და სხვა!.. ბძანებთ — არც უნდა გელაპარაკათ მაგგვართ, რადგან აღქურვილი არ იყავით სამღვდელოების ვეჭილობით! დიად! სამღვდელოებას არ დაუვადებია და არც მოუნდვია ჩემთვის მისი სახელით დაცვა ავტოკეფალიისა სინოდის წინაშე, მაგრამ ვინა საქირო-ლა იყო კიდევ ჩემთვის რაიმე ვეჭილობა სამღვდელოების მხრით შემდეგ იმ ვრცელი, დასაბუთებული და მედგარი პეტიციებისა, რომლებითაც სამღვდელოებამ მიმართა სინოდს შარშან? პირველად ამ საგნის შესახებ გაიგზავნა !905 წელს მარტში იმერეთის სამღვდელოების პეტიცია, მას ვაჰყვა თან აპრილში გურია-სამეგრელოს ეპარქიის სამღვდელოებისა და, ბოლოს, ნოემბერში, ქართველი მღვდელთმთავრებისა ეს პეტიციები მოისახრა და შეიმუშავა მთელმა სამღვდელოებამ, მას ძალის დამტანი და დამზადებელი არავინ ჰყოლია, საკუთარი სურვილით დ, ნებაყოფლობით დაფარა მან პეტიციები ხელის მოწერით და ამაზე უდიდესი, ამაზე უფრო ცხადი საბუთი აღარ იყო ჩემთვის საქირო: სწორეთ ამან გამაბედვინა სინოდში სამღვდელოების სხედით გაბედულად მსჯელობა ავტოკეფალიის შესახებ.

მივაქცევ საქართველოს სამღვდელოების განსაკუთრებითს ყურადღებას შემდეგ გარემოებას: ეს პირველი მაგალითი არაა რუსულ პრესსაში იმ აზრის გამოთქმისა, რომ საქართველოს სამღვდელოებას არ სურს და არც უთხოვია მთავრობისათვის ეკლესიური ავტოკეფალია; მას აზინებენ, ატყუებენ, მისი სახელით სარგებლობენ და სხხზავენ სიცრუით აღვსილ პეტიციებს სხვა-და სხვა ბოროტი მიმართულების პირებო. ამაზე მეტად სამღვდელოების გალანძღვა, ჩემის აზრით, წარმოუდგენელია. სიჩუმე ამ შემთხვევაში დანაშაულად უნდა

ჩავთვალოს სამღვდლოებას, მან დაუყოვნებლივ უნდა გამოსთქვას, რომ თავის სახელს არავის არ ათელვინებს, არავის აპატივებს, რომ მის მაგივრათ, მისი სურვილის წინააღმდეგ, მის გაუგებრად და ნება დაუთრველად სწერონ პეტიციები ავტოკეფალიის შესახებ და, თუ ეს საგანი წამოყენებულია დღესა, თუ ამის შესახებ ბევრი რამ დაიწერა და იწერება დღეს სამღვდლოების სახელით, ე' მოხდა და ხდება ამ წოდების ნება ყოფლობით, მისი სურვილით, ამით სამღვდლოება გამოსთქვამს თავის რწმენას, თავის ერთგულებას ქრისტიანობისადმი, სახარების მაღალი მოძღვრების მართებულ შეგნებას. ასეთი განცხადება ააცდენს სამღვდლოებას მომავალში მოსალოდნელ შეურაცხყოფას ბეჭდვითი სიტყვის საშუალებით, დამიხსნის პირადად მე იმ საზიზღარი და ღირსების შემბლაღავი ბრალდებისაგან, რომ ვითომც ბოროტი განზრახვით შეცდომაში შემყავდა სინოდი, როდესაც სამღვდლოების სახელით ვიცავდი ავტოკეფალიას, გაუადვილებს, როგორც კავკასიის ადმინისტრაციას. ისე სინოდს ავტოკეფალიის ჩვენდა სასურველად გადაწყვეტას და გამოარკვევს, ვინაა დღეს ჩვენში მომხრე ან მოწინააღმდეგე ამ კითხვისა.

ნათქვამის განხორციელება შეიძლება მოხდეს ამ გვარად: ყოველი ბლალოჩინი დაიბარებს თავის ოლქის სამღვდლოებას, გააცნობს მას მოყვანილი წერილის შინაარსს და სხვებსაც მის მსგავს, ბოლოს სამღვდლოების სრული თანხმობით, გარეშე ყოველი ძალდტანებისა, თანახმად მღვდლების სეინიდი-სისა, დამსწრენი აღგენენ დაახლოვებით ამისთანა შინაარსის ოქმს: ჩვენ ქვემოთ ამისა ხელის მომწერნი ამით ვაცხადებთ, რომ პეტიციით ვთხოულობით და დღესაც მტკიცედ მოვითხოვთ ჩვენი სამშობლო ეკლესიის ავტოკეფალიის აღდგენას. იმ გვარი შინაარსის წერილები, საქართველოს ეკლესიის ავტოკეფალიის შესახებ, როგორიც არის, მაგალითად ამ წლის „Перковныя Вѣдомости“ ს მეცამეტე და მეთოთხმეტე ნომერში მოთავსებული, ჩვენ მიგვაჩნია საზიზღარ პასკვილებად. ოქმები, შემდეგ ბლალოჩინის შემოწმებისა, უნდა გაგზავნილ იქმნენ საქართველოს „სასულ. მოაზი“ — სადა „მწყემსი“ — ს რედაქციებში, რომლებიც, რა კითხი უნდა, თავის დროზე გამოაქვეყნებენ ყვილაფერს ამას და მით დაუყობენ პირს საქართველოს სამღვდლოების ძვირად მახსენებლებს. ვთხოვ დანარჩენ ქართულ ყოველდღიურ და კვირულ გამოცემებს გადაბეჭდონ ეს წერილი. („მწყემსი“ № 8.)

ლევონიდი, ეპისკოპოსი იმერეთისა.

რა სჭირდება საქართველოს ეკლესიას?

(გაგრძელება *)

III

წინა თავში ჩვენ გავარკვეეთ, რომ აუცილებლათ საქირაა შეიცვალოს მღვდლისა და დიაკვნის გამწესების წესი: მღვდელსა და დიაკვანს თვათონ მრეკლი უნდა იწვევდეს და არა ექსარხოსი გინდ ეპისკოპოსი და მათი კანტელარია, როგორც ეს დღესაა.

განვიხილოთ ახლა კრებულის წევრთა გასამართლების წესი. ვთქვათ, მღვდელი მრევლს უდიერათ ექცევა, მოვალეობას წესიერათ არ ასრულებს, მღვდელმოქმედების შესრულებაში ფულს ბევრსა სთხოვს, უზნეო ცხოვრებას ეწევა და სხვა.

როგორა ჰფიქრობთ? შეუძლია თუ არა მრევლს, ასეთი „მოძღვარი“ ადვილათ მოიშოროს?

რასაკვირველია, არა...

და აი ამისი მიზეზი.

დღევანდლის წესით, რომელსაც, როგორც სჩანს ბორჯომის ხეობლები ძლიერ სუსტათ იცნობენ, სამღვდლო პირზე საჩივრის შეტანა შეიძლება მხოლოდ სასულიერო მთავრობის სახელზე, სხვა არც ერთი დაწესებულება ამგვარს საჩივარს არ მიიღებს. უახლოესი სასულიერო მთავრობა კი არის ეპისკოპოსი ან ექსარხოსი. მაშასადამე, როცა მრევლი მღვდელზე უკმაყოფილოა, საჩივარი იმავე ეპისკოპოსს უნდა მიართვას, რომლისაგანაც ის მღვდელია გამწესებული. რასაკვირველია, ეპისკოპოსი ეცდება თვის მიერ არჩეულსა და გამწესებულ მღვდელს სახელი არ გაუტეხოს, რადგან, თუ ასე არ მოიქცა, თვითონაც ნდობა დაეკარგება ხალხის თვალში, ერთი სიტყვით, ეპისკოპოსი ყოველ ღონეს იხმარს, სამღვდლო პირის „ღირსება“ დაიცვას.

ამას ძლიერ ხელს უწყობს თვით საქმის გამოძიების წესიც. ამ წესის ძალით სასულიერო პირის (მღვდლის ან მედავითნის) ყოველგვარ საქმეს იძიებს იმავე ეპისკოპოსის მიერ დანიშნული „სასულიერო გამომძიებელი“, რომელიც უსათუოთ მღვდელთაგანია. ხშირი ყოფილა ისეთი მავალითი, რომ საქმე, რომლის გულისთვისაც სისხლის სასამართლო დამნაშავეს უსათუოთ სასტიკ საჯელს გადაუწყვეტდა, „სასულიერო გამომძიებლის“ ხელში ბევრჯერ სრულიად უმნიშვნელო „შეცდომად“ ან „დაუდევრობად“ გადაქცეულია, ხოლო ზოგჯერ სრულიად ჩაფუჩჩებულა და მოსპობილა...

ეს ძალიან კარგათ იციან იმ პირებმა, რომელთაც თვითონ გამოუც-

*) იხ. „სასულიერო მოამბე“ №8.

დიით, თუ რას ნიშნავს „სასულიერო სასამართლოსთან“ რაიმე საქმის დაქერა...

ასეთია დღევანდელი წესი, რომელსაც, თავისი უფიცობის გამო, ასე ძლიერ შესტრფიან ბორჯომის-ხეობელი ქართველები.

ახლა ვნახოთ, რა ცვლილებას გვპირდება ამავე წესის შესახებ ჩვენი სამღვდლოების დღევანდების მიერ შემუშავებული პროექტი: ვის ანდობს იგი კრებულის წევრთა (მღვდლისა და დიაკონების) წინააღმდეგ რაიმე დანაშაულის გამო საქმის აღძვრას, გარჩევასა და გადაწყვეტას?

პროექტის სიტყვით, „კრებულის წევრთა უთანადო მოქმედებისა და ცუდი ყოფაქცევის“ შესახებ საჩივრის აღძვრას ანუ იწყებს „სამრევლო კრება“, რომელიც შესდგება სამრევლოში მცხოვრებ ყველა სრულწლოვან მორწმუნეთაგან სქესის განურჩევლად, მაშასადამე თვითონ ხალხი (§ 21 მუხლი—ე). ცხადია, როცა სამრევლო კრება საჩივრის აღძვრას განიძრავავს, წინდაწინვე ეცდება სამღვდლო პირის დანაშაულის შესახებ ნამდვილი ცნობები შემაკრიბოს; უამისოთ ვერც საჩივრის დაწყებას მოახერხებს. ამ გვარათ, საქმის აწყდა-პარკული გამოძიებაც თვითონ მრევლის ხელში იქნება.

გავყვით ქვემოთ.

პროექტის თანახმად, სამრევლო კრება საჩივარს წარუდგენს ან საოლქო საბჭოს და კრებას, ან საქაპრქიო კრებას, გინდ საქაპრქიო საბჭოს. (იქვე § 21, მუხლი—ე).

ვისგან შესდგება ეს ორი უკანასკნელი დაწესებულება?

„საეპარქიო კრება შესდგება 90-ის წევრთაგან, რომელთა შორის 30 სამღვდლოების წარმომადგენელია და 60 მოოწმუნებებისა (ერისგანებისა)“ (§ 14).

ხოლო საქაპრქიო საბჭოში „შედის 6 წევრი, რომელთაგან 2 ეპარქიის სამღვდლოების წარმომადგენელია და 4 მოოწმუნეთა წარმომადგენელი“ (§ 15).

ამგვარათ, თვით ხალხის მიერვე არჩეულ პირთა თანადასწრებით და მონაწილეობით, აი რა წესით უნდა ირჩეოდეს ყოველ საკრებულო წევრის საქმე. კრება, და არა ეპისკოპოსი და მის მიერვე დანიშნული სასულიერო გამომძიებელნი, აი ვინ უნდა არჩეულეს და გადასწყვეტულეს, პროექტის შემდგენელთა აზრით, ყოველ საჩივარს, რომელიც სამღვდლო პირს შეეხება.

ასეთია ის რადიკალური ცვლილებანი, რომელთაც საქიროდ რაცხს ჩვენი სამღვდლოების დღევანდელთა კრება. ასეთია თვით სამღვდლოების მიერვე წარმოყენებული რეფორმა.

და მართლა ბორჯომის-ხეობელებივით დაბრმავებულნი უნდა იყოს კაცი, რომ ამ წმინდა დემოკრატიულს რეფორმას ზიზღი და უნდობლობა გამოუცხადოს, დღემდე არსებული სასულიერო-ბიუროკრატიული წყობილება კი სატრფიალოდ დაისახოს.

ერისგანი.

(შემდეგი იქნება)

სინდისისა და ეკლესიის თავისუფლება ბიზანტიის იმპერიაში *).

IV

ს ა მ ა რ თ ა ლ ი .

ჩვენ უკვე ვიცით, თუ როგორის სიბრთხილით ექცეოდა იმპ. კონსტანტინე I დიდი საეკლესიო სამართალს: „მე, ადამიანს, არა შემიძლია, — ეუბნებოდა იგი კრების მამებს, — ისეთი საქმეები მოვისმინო, სადაც ბრალმდებელნიცა და ბრალდებულნიც მღვდლები არიანო.“ — ვიცნობთ აგრეთვე მე-IV მსოფლიო კრების მამათა ვარდაწყვეტილებასაც, რომლის ძალითაც ყოველი საქმე, რომელიც მღვდელმთავრებს შეეხება, უსათუოთ საეკლესიო კანონთა უნდა გაიჩინეს და არა საიმპერატორო წესდებით. — სამწუხაროთ იმპერატორები ყოველთვის ვერ იკავდნენ ამ წესს. მოვიყვანთ რამდენსამე მაგალითს.

საეკლესიო „სასჯელთა“ შორის ყველაზე უდიდესია შეჩვენება-განკვეთა, რომელსაც ეკლესია მხოლოდ ისეთი ცოდვილების შესახებ ხმარობს ხოლმე, რომელთაც არა სურთ თავი ი ცოდვა აღიარონ და ეკლესიის ხელმძღვანელობას დაემორჩილონ. ამნაირი განკვეთა გრძელდება მხოლოდ მანამდის, სანამ შეჩვენებულა წევრიარ შეინანებს და თავისი სურვილით არ დაუბრუნდება ეკლესიას. ამ სასჯელის მიზეზია მხოლოდ საეკლესიო ხასიათის დანაშაულობანი; მიზანი კი მართა ზნეობრივი გასწორებაა, და არა დასჯა დასჯი სათვის, გინდა სამაგიეროს მიკება, შედევდაც მას მოჰყვება ხოლმე მხოლოდ საეკლესიო და სარწმუნოებრივ უფლებათა დრავებითი შეზღუდვა (მაგალ., განკვეთილს აღარ შეუძლია საეკლესიო კრებას დაესწროს, ზიარება მრილოს და სხვა), და არა რაიმე ნივთიერის გინდა პოლიტიკურ და სოციალუო პრივილეგიების ჩამორთმევა. შეჩვენების წარმოთქმა შეუძლია მხოლოდ საეკლესიო კრებასა და საეკლესიო იერარქიას. ბიზანტიაში კი ამ საქმეს ზოგჯერ იმპერატორები ითვისებდნენ ხოლმე ასე მოიქცა, მაგალითად, იმპერატორი რომან I ელი (+915 წ.), რომელმაც თვითონ შეადგინა და გამოაქვეყნა შეჩვენების ბარათი („ანათემატაზმები“), რომელშიაც თანაბრათ „ანათემას“ უძღვნიდა ყველა შეთქმულ — აჯანყებულებსა და აგრეთვე იმ მღვდლებს, რომელნიც ამ აჯანყებულთაგან აღსარებას მაიღებდნენ, ³⁹⁾ კიდევ უფრო შორს წავიდა იმავე საუკუნეში იმპერ. იოანე კიმისხი (969—997 წ.), რომელმაც სულ უბრალო ექვის გამო პატრიარქს (ბასილის) კათედრა ჩამოართვა და თვითონ პატრიარქი, საეკლესიო კრების დაუკითხავათ, მონასტერში

*). იხ № 7 „სას. მოამბისა“ 1906 წ.

³⁹⁾ П. Срътенскій — Критическій анализъ главн. ученій объ отношеніяхъ между церк. и государствомъ. Москва. 1877 г. стр. 60.

ჩამწყვედია. ⁴⁰⁾ ისტორიას სხვაც ახსოვს ამგვარი მაგალითი, მაგრამ ბიზანტიის იმპერატორთა დასახასიათებლათ, ვგონებთ, ესეც საკმაო უნდა იყოს.

V

იერარქია.

პირველი სამი საუკუნის განმავლობაში საეკლესიო თანამდებობის პირებს მთელი ადგილობრივი ეკლესია ანუ საზოგადოება ირჩევდა. ⁴¹⁾ მას შემდეგ კი, რაც ქრისტიანობა ბიზანტიის იმპერატორებმა სახელმწიფო სარწმუნოებად გამოაცხადეს, ამ წმინდა დემოკრატიულ წესს ერთი ახალი ჩვეულებაც მიემატა, სახელდობრ, არჩევნებში საერო მთავრობის მონაწილეობა.

მილანის ედიქტი ერთი წლის გამოცემულიც არ იყო, რომ აფრიკის ეპისკოპოსებმა კონსტანტინე-იმპერატორს თხოვნით მიმართეს: კართაგენის მღვდელმთავარი ცეცილიანი არ მოგვწონს და სხვა, ჩვენ მიერ არჩეული მაიორინი დაგვიშტეიფო. იმპერატორმა, რასაკვირველია, თხოვნა არ გაუწილა და სწრაფათ მოახდინა განკარგულება, რათა ორგან გაემართათ საეკლესიო კრება: ჯერ რომში და მერე არელატში. ამასთანავე იმპერატორმა თვითონვე უჩვენა, თუ სახელდობრ რაიმე ეპისკოპოსები უნდა დასწრებოდნენ ამ კრებებს და რამდენა მღვდელი შეეძლოთ თან ეახლებიათ.

ეს ფაქტი ნათლათ გვიჩვენებს, თუ რა შორსაც შეუტოპავს საერო მთავრობას იმ თავითვე საეკლესიო საქმეების „ხელის შეწყობაში“, თუმცა სიმართლედ მოითხოვს შევნიშნოთ, რომ პირადათ იმპერატორი კონსტანტინე ძლიერ ფრახილათ ექცეოდა მღვდელმთავრების არჩევს საკითხს; ამ საქმეში იგი უფრო შორიდან ხელმძღვანელობას სჯერდებოდა, ვინემ თვით არჩევნებში ჩარევას. „ეს საქმე ახლა თქვენზეა დამოკიდებული“, — სწერდა იგი პირველი მსოფლიო კრების შემდეგ ნიკომიდიელ სამწყსოს და ურჩევდა მართლმადიდებელი მღვდელმთავარი აერჩია. ⁴²⁾

სამაგიეროთ, სულ სხვაგვარ დატრიალდა საქმე, როცა კონსტანტინეს შემდეგ სამეფო ტახტი არიოზის მიმდევარმა კონსტანციმ დაიჭირა. სხვათაშორის განიდევნა ალექსანდრიიდან ცნობილი მამა ეკლესიისა წმ. ათანასე ალექსანდრიელი, რომლის ადგილიც იმპერატორის განკარგულებით არიანელ გრიგოლს გადაეცა. ცხადია, ამისთანა თავხედობას არ შეეძლო ეკლესიის მხრივ

⁴⁰⁾ Ibidem, стр. 60—61.

⁴¹⁾ იხ. ჩვენი წერილი: „სინდისისა და ეკლესიის თავისუფლება“ (==საქ. სასულ. მოამბე“ 1906 წ. №1—2, გვ. 15).

⁴²⁾ იხ. Дѣянія Всел. соборовъ, т. I, стр. 201 (Послания имп. Константина къ никомидиѣцамъ противъ Евсевія и Θεогноста).

სამართლიანი პროტესტი არ გამოეწვია; და აი, მართლაც, ვხედავთ, რომ ათანასესთან ერთად მის სასარგებლოდ და ეკლესიის თავისუფლების დასაცველათ, იმპერატორის წინააღმდეგ ხმას იმაღლებს რომის პაპი იულიოს: „სად ნახულა იმისთანა საეკლესიო კანონი, სად მოიპოება იმისთანა სამოციქულო გარდამოცემა, რომ მაშინ, როცა ეკლესია და ამოდენა მღვდელმთავრები ალტაცებით შეჰყურებენ ათანასეს, მის ადგილას ვიღაცა უცხოას და ყველასათვის უცნობს ადამიანს აგზავნიოთ, რომელიც იქ არ მონათლულა, რომელსაც ხალხი ვერ იცნობს და რომელსაც არც მოქალაქეები, არც მღვდლები და არც მღვდელმთავრები არ თხოულობდნო“ — სწერს იგი იმპერატორს კონსტანტინს. ამავე დროს ეკუთვნის, სპეციალისტების გამოკვლევით, ეგრეთ წოდებულის „მოციქულთა მე-30 კანონის“ შედგენაც, რომლის ძალითაც უსათუოთ კათედრა უნდა წაერთვას იმ მღვდელმთავარს, რომელიც საერო მთავრობის დახმარებით მიიღებს სამსახურს. ⁴³⁾

იმპერატორებისაგანვე იყვენ დანიშნული კონსტანტინოპოლის კათედრაზე სხვა და სხვა დროს: ნექტარი, იოანე-ოქროპირი, ნესტორი და სხვანი ⁴⁴⁾

ამავე დროს თანდათან შეამცირეს ხალხის ხმა მღვდელმთავართა არჩევნებში. ამის მოტივად იმას ასახელებენ, რომ არჩევნების დროს მოპირდაპირე პარტიები, განსაკუთრებით უბრალო ხალხთაგანი, ბრძოლას მართავენ ხოლმე, რასაც ხანდახან სისხლის ღვრაც კი მოსდევს (შეად. ლაოდიკიის კრების კანონი მე—13). ამას შემდეგ სამღვდელმთავრო კანდიტატის არჩევაში მონაწილეობას იღებდენ მხოლოდ ადგილობრივი სამღვდლოება, მეზობელი ეპისკოპოსები, შეძლებული მემამულეები და წარჩინებული მოქალაქენს (შეად. მე—IV მსოფლიო კრების დადგენილებანი ⁴⁵⁾). — რაც შეეხება იმპერატორების პირადს გავლენას, იმათი ხმა უფრო წარჩინებულ კათედრათა მღვდელმთავრების არჩევაში ემჩნეოდა. ⁴⁶⁾

ეს გავლენა განსაკუთრებით იუსტინიანე I-ელის დროიდან გაძლიერდა. და ეს არც გასაკვირველია, რადგან სწორეთ ამავე დროიდან მიეცათ მღვდელმთავრებს ბევრი ისეთი უფლებანი, რომელთაც საეკლესიო მართვა-გამგეობასთან არავითარი კავშირი არა აქვთ. სამღვდლოება საერო მთავრობის ფუნქციებით აღიჭურვა; ამის გამო მისი არჩევაც საერო მთავრობის საქმედ იქცა.

⁴³⁾ *Павловъ*—Объ участіи мірянъ... стр. 461—462. შეად. სარდიკიის კრების მე-6 კანონი (347 წ.).

⁴⁴⁾ *Терновскіе*—loc. cit. стр. 128. 141. 228.

⁴⁵⁾ *Дѣян. всел. соб. т. IV*, стр. 358—359. 381—382.

⁴⁶⁾ *Павловъ*—loc. cit. 490. 494—495. შეად. *архіеп. Іоанна*—Опытъ курса... I, стр. 173.

გაგალითად, იუსტინიანე I-ის მე-88 ნოველოს ძალით მღვდელმთავრებს მიენდო პროვინციალურ მსაჯულთა მოქმედების უმაღლესი ზედამხედველობა; უკეთეს მსაჯული მომჩივანს უსამართლოთ მოეციდებოდა და მადგამიძობას გამოიჩენდა, მომჩივანი ვალდებული იყო ადგილობრივის მღვდელმთავრისათვის მიემართა და იგი გარჩევდა საქმეს მსაჯულის თანადაწირებით; ხოლო, უკეთეს მსაჯული მომჩივანს შეურაცყოფას მიაყენებდა, მაშინ საქმეს მარტო მღვდელმთავარი არჩევდა. მღვდელმთავარი მონაწილეობას იღებდა ამ მსაჯულთა (პრეფექტები) არჩევაში, თვალყურს ადევნებდა მათს მოქმედებას და მათის არასათანადო ყოფაქცევის შესახებ იმპერატორს მოხსენებას წარუდგენდა, — მსგავსისავე უფლებით იყვენ აღჭურვილი ეპისკოპოსები ქალაქის მამასახლისთა („pater civitatis“) და დეფენსორების (მარშლების) შესახებაც. — მღვდელმთავარი ადევნებდა თვალ-ყურს ქალაქის შესავალ-გასავალსაც და უფლება ჰქონდა მათი გამგეებისაგან ყოველგვარი ანგარიში მოეთხოვა. — ეპისკოპოსთა ზედამხედველობის ქვეშ იყო, აგრეთვე, სატუსალოების მდგომარეობა, საზოგადოებრივი სამუშაონი, ხარკის აკრეფა; საზოგადო გართობანი, საქველმოქმედო დაწესებულებანი და შენობები. — დასასრულ. იუსტინიანეს კანონთა თანახმად, სამღვდლოებზე ითვლებოდა იმპერატორთან დაახლოებულ წოდებად, რომელსაც უფრო მეტათ ენდობოდა იმპერატორი, ვინც მექრთამე მოხელეებსა და ქალაქის მამასახლისებს⁴⁷⁾.

ასეთი იყო ბიზანტიის სამღვდლოების სამოქალაქო უფლებანი. ცხადია, თუ რა საფუძვლის ძალით ერეოდნენ იმპერატორები სამღვდლოების წევრთა არჩევნებში და სკლილობდნენ ეს არჩევნები მდაბიო ხალხისაგან გაეთავისუფლებინათ.

იუსტინიანეს კანონმდებლობის თანახმად, ადგილობრავს მღვდელმთავარს ირჩევდა კრებული და წარჩინებული მოქალაქენი; ესენი არჩევდნენ სამს კანდიდატს, შეადგენდნენ ოქმს და ფიცით ამტკიცებდნენ, რომ არჩევნები საეკლესიო კანონების თანახმად და უნაგართ იყო მომხდარი, ხელ მოაწოდნენ და ადგილობრივს მიტროპოლიტს უგზავნიდნენ, რომელიც საშვი ერთს აირჩევდა და ამტკიცებდა (Novella 123 et 137). ესევე კანონი დაამტკიცა მე-IX საუკუნეში იმპერატორმა ბასილ- I მაკედონელმა („ბაზილიკებში“).

მიუხედავად ამ კანონისა, ზოგიერთი იმპერატორები, განსაკუთრებით იგინი, რომელთაც ხატებთან ბრძოლით გაითქვეს სახელი, ხშირად საკუთარს ინიციატივით და ეკლესიის დაუკითხავად დავამდნენ ხოლმე ეპისკოპოსებს ამა თუ იმ კათედრებზე. და, აი, სწორედ საერო მთავრობის ეს თვითნებობა ჰქონდა სახეში მე-VII მსოფლიო კრებას, რომელმაც გადაჭრით გამოაცხადა,

⁴⁷⁾ უფრო ვრცლად იხ. *Терновскіе loc. cit.* стр. 284—286; *Робертсонъ — Ист. Хр. Церкви I*, стр. 513—515; *Маасенъ*—девятъ главъ о свободѣ ц. и свобод сов., стр. 52—53; *Кургановъ*—*loc. cit.* стр. 480—482.



რომ „უკანონოდ უნდა ჩაითვალოს ეპისკოპოსისა, მღვდლისა და მთავრის (დიაკონის) არჩევა, რომელსაც საერო მოხელეები ხელმძღვანელობენ“ (= „Дѣлаемое мѣрскими начальниками“ იხ. VII მსოფ. კრებ. მე-3 კანონი).

ასეთი იყო წმ. მამების აზრი საერო მთავრობის მონაწილეობაზე საეკლესიო იერაქიის წევრთა არჩევაში. მაგრამ ზოგიერთი იმპერატორები სავალდებულოდ არ სთვლიდნენ ამ წესს დამორჩილებოდნენ. მაგალ., 963 წელს იმპერატორმა ნიკიფორე ფოკამ პირდაპირი კანონი გამოსცა, რომლის ძალითაც პატრიარქისა და ეპისკოპოსების არჩევა იმპერატორის უფლებას დაემორჩილა. მართალია, ფოკას მემკვიდრემ, იმპერ. იოანე ციმისხიმ, პატრიარქის თხოვნით ეს კანონი გააუქმა, მაგრამ პრაქტიკულად კი ბიზანტიაში მღვდელმთავრების არჩევამ მაინც წმინდა ბიუროკრატიული სახე მიიღო. მე-XII საუკუნეში ამ გაუქმდებულ წესს ვეკილებიც აღმოუჩნდნენ, სახელდობრ საეკლესიო კანონისტები, რომლებიც საამისოდ საეკლესიო კანონების დამახინჯებასაც კი არ მოერიდნენ. მაგალითად, როგორც ზემოთ შევნიშნეთ, ლაოდიკიის კრებამ (მე-13 კანონით) მღვდელმთავრის არჩევებიდან მხოლოდ „ქუჩის საჯხი“ (толпа, сборище) დაითხოვა. ხოლო მე-VII მსოფლიო კრებამ—საერო მთავრობის წარმომადგენელნი; მე-XII საუკუნის კანონისტები კი განმარტებენ, ვითომც აქ მღვდელმთავრის არჩევებიდან დაბალი სამღვდელთა და წარჩინებული მოქალაქეებაც იყონ დათხოვნილი, ე. ი. პირდაპირ იმას წინააღმდეგს ამტკიცებენ, რაც ამ კანონებშია ნათქვამი.—უფრო ცუდი დღე დააჯგა იმავე ლაოდიკიის კრების მე-9 კანონს. ამ კანონში ნათქვამია, რომ მღვდელმთავრის კურთხევის (ხიროტონია) დროს ეკლესიაში არ უნდა დაესწრონ „მსმენელნი“, ე. ი. ცნობილი კლასი შენანებულთა; მე-XII საუკუნის კანონისტები კი განმარტებენ: ეპისკოპოსის არჩევას მღვდელმთავრების მეტი მოწმე არ უნდა დაესწროს. „ამიტომაცაო,—ამბობს ვალსამონი,—ახლა ჩვენში მღვდელმთავრები საიდუმლოთ (наединѣ) ირჩევენ ხოლმე ეპისკოპოსსაო“. ⁴⁸⁾

ამგვარათ, უკანასკნელ საუკუნეებში ბიზანტიის იმპერიამ მღვდელმთავრების არჩევებიდან თანდათან განდევნა: ჯერ უბრალო ხალხი, შემდეგ მოქალაქენი და დასასრულ დაბალი სამღვდლოეზაც. სანაცვლოდ იქ დამყარდა აი როგორი წესი.

დაიკლებოდა თუ არა კონსტანტინოპოლის საპატრიარქო კათედრა, იმპერატორი ამწამსვე ადგილობრივი მღვდელმთავრების კრებას მოუწოდებდა. თუეცა კანონით ამ კრებას მთელი საპატრიარქო მღვდელმთავრები უნდა დასწრებოდნენ, მაგრამ უფრო ხშირათ იმპერატორები იმ მღვდელმთავრებითაც კმაყოფილდებოდნენ, რომელნიც იმდროს შემთხვევით იქნებოდნენ ჩამოსულნი სატახტო ქალაქში. ეს „შემთხვევითი“ კრება ირჩევდა სამს კანდი-

⁴⁸⁾ Павловъ—Уч. міравъ... стр. 498—499.

დატს, რომელთაგან შემდეგ იმპერატორი ამტკიცებთ ერთს. ამასთანავე, როგორც სვიმონ თესალონიკელი შენიშნავს, იმპერატორები „ხელს უწყობდენ“ კრებაზე პატრიარქის არჩევას. ⁴⁹⁾

ამავე წესით სრულდებოდა მიტროპოლიტისა და მღვდელ-მთავრების არჩევა; განსხვავება მხოლოდ ის იყო, რომ იმპერატორის ნაცვლად პირველ შემთხვევაში პატრიარქი ამტკიცებდა ერთს ხამ კანდიდატთაგანს, ხოლო მეორე შემთხვევაში — მიტროპოლიტი. სამართლიანათ შენიშნავს თეოდორე ვალსამონი, რომ ამ წესში იუსტინიანეს დადგენილებიდან ერთად-ერთი ნიშანიღა დარჩა, სახელდობრ, სამი კანდიდატის არჩევა. ⁵⁰⁾

ასეთი შედეგი მოიტანა საეკლესიო ცხოვრებაში საერო და საეკლესიო მთავრობათა საურთიერთო კავშირის პრინციპმა.

ს. გორგაძე.

(შემდეგი იქნება.)

ტფილისის საეპარქიო საქალებო სასწავლებლის რეორგანიზაციის პროექტის შესახებ.

(ქართლ-კახეთის ეპარქიის სამღვდლოების რწმუნებულთა მომავალ კრების საყურადღებოდ)

I

განმათავისუფლებელმა მოძრაობამ თავისი ცხოველყოფელი სხივებით სასულიერო უწყების სასწავლებელთა კედელთშორისაც შეაშუქა; მათს ძლევა მოსილობას ვეღარ გაუძლო ხსენებულ სასწავლებელთა ადამიანის ბუნების გამათახსირებელმა სწავლა-აღზრდის ბრუნდად მავალმა საქმემ... დაიწყო მუშაობა მათში სწავლა-აღზრდის საქმის უკეთესად მოწეს-რიგების შესახებ. საეპარქიო საქალებო სასწავლებელიც, რომელსაც მძიმე ტვირთად აწვა სწავლა-აღზრდის ძველი ყოვლად—ღუბქირი რეჟიმი, განახლების გზას

⁴⁹⁾ Кургановъ—loc. cit. стр. 66—67.

⁵⁰⁾ Павловъ—Участіе мірянъ... стр. 499. გასაკვირალი არაა, რომ ეს უკუღმართი წესი ზოგჯერ უკიდურეს შედეგებს იძლეოდა. მაგალ; იმპერატორი რომან I-ლი (მე-X საუკ.) კონსტანტინოპოლის პატრიარქად სვამს თავის 11 წლის ვაჟს თეოფილაქტეს, რომელსაც მზრუნველად უნიშნავს ვილაც ბერს ტრიფონს, როცა თეოფილაქტე 16 წლისა შეიქმნა, პატრიარქობა მას გადაეცა; იგი პატრიარქობდა სამარცხვინოთ 23 წელს და სიკვდილიც შესაფერი მიიღა: ცხენზე ჯირითობის დროს ვაღმოვარდა და კედელს თავი მიახსხვრია. (Робертсонъ—Ист. Хр. Церкви I, стр. 1000).

დაადგა. ამ სასწავლებლის წესდებულება, ორმოცისწლის წინ შემუშავებული, ვეღარ აკმაყოფილებდა თანამედროვე ცხოვრების რთულს, მომწიფებულს მოთხოვნებსა... ამის გამო წელს რუსეთის თითოეული საეპარქიო სასწავლებლის საბჭომ და მათ შორის ტფილისისამაც შეიმუშავა სწავლა-აღზრდის რეორგანიზაციის პროექტი. ტფილისის საეპარქიო სასწავლებლის საბჭოს მიერ შემუშავებული პროექტი შეეხება უპირველეს ყოვლისა ადმინისტრაციულს (საგამგეობო) მხარეს. ის საკიროდ სთვლის საჩუქვებ წესის შემოღებას. სასწავლებლის უფროსს ქალს პროექტით ირჩევს სამღვდლოების რწმუნებულთა კრება; უფროსი ქალი უნდა იყვეს ცნობილი თვისის განათლებით და მაღალ-ზნეობით. მით უმეტეს საკიროა უკუროსის ქალის აღრჩევა სამღვდლოების მიერ, რომ სასწავლებელს თავის საკუთარ ხარჯით ინახავს სამღვდლოება, რომელიც ამისგამო მისი უფლება-მოსილი პატრონია. საპედაგოგო საბჭო ირჩევს—სასწავლებლის ინსპექტორს, მასწავლებლებს და ყველა მსახურ პირს... სამღვდლოებას უნდა ჰყავდეს თავის წარმომადგენლებად სასწავლებლის საბჭოში ხუთი წევრი (აქამომდე ორი მღვდელი ჰყავდა); ამისთანავე შეეძლება საბჭოს წევრებად პედაგოგიურ გამოცდილებით ცნობილი საერო პირებიც აღირჩიოს და არა მხოლოდ მღვდლები, როგორც აქამომდე იყო. სამღვდლოების ხუთ წევრთან ორი მუდამ თვალყურს ადევნებს სასწავლებლის სამეურნეო მხარეს.

აქამომდე სასწავლებელს სამი უფროსი ჰყავდა: საბჭოს თავმჯდომარე, გარეშე სასულიერო პირი, ეპისკოპოსის მიერ დანიშნული, — უფროსი ქალი და კლასთა ინსპექტორი. თითოეული მათგანი იჩემებდა უფროსობას, მით უმეტეს რომ არც ერთი მათგანის უფლება კანონის მიერ ცხადად განსაზღვრული არ იყო... ამისგამო მათ შორის კინკლაობა ხშირი მოვლენა იყო, რაც სწავლა-აღზრდის საქმეს ძლიერ ვნებდა. პროექტი სასწავლებლის უფროსად სთვლის სახელაგოგო საბჭოს, როგორც შემკრებულობითს და რჩევითს დაწესებულებას, რომელსაც სასწავლებელში მსახურნი პირნი უნდა ემორჩილებოდნენ. საბჭოს არ ჰყავს შედმივა თავმჯდომარე. ის თვის წევრთა შორის თავმჯდომარეს ერთის წლის ვადით ირჩევს, რის მეოხებით თავმჯდომარეობა შეიძლება შეხვდეს თითოეულს მასწავლებელსაც, უკეთუ მას საბჭოს წევრები ხმის უმეტესობით ნდობას გამოუცხადებენ.

აქამომდე წესდებულების მე-49 მუხლის თანახმად, სასწავლებლის ინსპექტორი უნდა ყოფილიყო უსათუოდ მღვდლის ხარისხით; იშვიათად ერის კაცებსაც ნიშნავდნენ... ამის მეოხებით სასწავლებლის ინსპექტორად ამწესებდნენ მღვდელს, — თუმცა უმაღლესის განათლების მქონეს, — მაგრამ ხშირად ახალგაზრდას, სწავლების საქმეში გამოუცდელს, — რომელსაც, რა თქმა უნდა, არ შეეძლო ჰქონებოდა ჯეროვანი გავლენა ამ საქმეზე. პროექტით ინსპექტორს ირჩევს მთელი საბჭო: აქამომდე ირჩევდნენ მას: თავმჯდომარე,

უფროსი ქალი და სამღვდლოების ორი წევრი იმ მასწავლებელთა დაუსწრებლად, რომელთა უფროსად წინადადენ. ინსპექტორად უნდა აღირჩიოს საბჭომ უმაღლესის განათლების მექონი პირი, ცნობილი თვისის პედაგოგიურ გამოცდილებით და მოღვაწეობით; მისთვის მღვდლის ხარისხი სავალდებულო არაა.

სასწავლებლის საბჭოს წევრებად პროექტით ითვლებიან ეგეჯა მასწავლებლები და აღმზრდელი ქალები. აქამომდე საბჭოს შეადგენდენ: თავმჯდომარე, უფროსი ქალი, ინსპექტორი და სამღვდლოების ორი წევრი, სულ ხუთი პირი, რომელთაგან ოთხი მღვდელი იყო. სხვათაშორის, ხანდახან, როდესაც თავმჯდომარე მოისურვებდა, მასწავლებლებსაც შოიწვევდნენ, მაგრამ მათ მოწაფეთა ცოდნის შესახებ ჰკითხავდნენ რასმეს, თორემ სასწავლებლის სხვა მრავალი მხარე მათთვის უცნობი იყო. აღმზრდელს ქალებს სხდომის დროს ხომ ახლოსაც არ მიიქარებდენ... ამის შეგონებით სასწავლებლის სეგ-მედს განაგებდა მხოლოდ ხუთი პირი, რომელთაგან მარტო ერთმა თუ იცოდა დაახლოებით სწავლის საქმის მდგომარეობა (ინსპექტორმა) და ერთმა კიდევ — მდგომარეობა აღზრდის საქმისა (უფროსმა ქალმა).

პროექტი საქიროდ სთვლის სასწავლებლისთვის მასწავლებელთა დამოუკიდებელს შტატს, ისე რომ არ სჭირდებოდეს სხვა სასწავლებელთაგან მასწავლებელთა მოწვევა, როგორც აქამომდე იყო. საკუთარი შტატისთვის კი საქიროა უფრო მეტი ხარჯის გამოღება, ვინემ აქამდე იყო. 50-მდის საეპარქიო სასწავლებელია და მათში ხუთ-ექვსს თუ ჰყავს მასწავლებელთა საკუთარი შტატი; დანარჩენებში მსახურებენ გიმნაზიის, სემინარიის და სას. სასწავლებლის მასწავლებლები... თუ სწავლების საქმე სასურველად ვერ მიდის საეპარქიო სასწავლებელში, ამის ბრალი მასწავლებლებს ვერ დაეკისრებათ. ამის მიზეზია უფრო ის, რომ ერთსა და იმავე საგანს რამდენიმე მასწავლებელი ასწავლის, რომელთაგან თითოეულს აქვს თვისი მეთოდი, თვისი ცოდნა საგნისა და სხვა... სასწავლებელი ექვს კლასიანია: პროგრამმა კი შვიდკლასიანი საქალებო გიმნაზიის აქვს; ზოგიერთს საგნებს, რომელთაც გიმნაზიებში ასწავლიან, საეპარქიო სასწავლებელში არ ასწავლიან (ალგებრა, ტრიგონომეტრია, ბუნების-მეტყველება; პედაგოგია; უკანასკნელი საგნის მხოლოდ ერთს ნაწილს ასწავლიან: დიდაქტიკას); მოწაფეები ვერ ასწრებენ განვითარებას ოთხი-ხუთისწლის განმავლობაში და ამისგანმო უფროსს კლასებში საგნებს შეგნებულად ვერ ითვისებენ. საეპარქიო სასწავლებელი საქალეობო გიმნაზიადა და არცთუ გიმნაზიაა ერთსა და იმავე დროს... უფრო კი ფრთებშეკვეცილი გიმნაზიაა... საეპარქიო სასწავლებლის მოწაფეთა უფრო და განუყოფარებლობა ამ სასწავლებელში გამეფებულ სწავლების დღენაკლული სისტემის ბრალია...

II

სასწავლო ნაწილის პროექტის შედგენის დროს საბჭოთა სხვათა შორის ისარგებლო საქალებო გიმნაზიების პროგრამებით, როგორც მასლით, უფრო კი ისარგებლო აწინდელი ცხოვრების მოთხოვნილებათა ჩვენებით. სასწავლებელი უნდა შედგებოდეს თერთმეტ კლასიდან (აქამომდე რვა იყო), რომელთაგან სამი მოსამზადებელი უნდა იყვეს, — შვიდი ძირითადი კლასი და ერთი (მერვე) პედაგოგიური. სამს მოსამზადებელს კლასში სწავლება ქართველთათვის მათს მშობლიურს ენაზე უნდა სწარმოებდეს, ხოლო რუსული ენა უნდა ისწავლებოდეს, როგორც ერთი სავალდებულო საგანი. არა ქართველთათვის ამდენივე მოსამზადებელი კლასი უნდა (პარალელური) გაიხსნას. ქართველნი და არა ქართველნი შეერთდებიან პირველს ძირითადს კლასში და ბოლომდის ერთად ისწავლიან. მოსამზადებელს კლასებში საგნებრივი სისტემის მაგივრად, — შემოღებულ უნდა იქმნას კლასებრივი სისტემა სწავლებისა, რომლის ძალით ყველა საგნებს თითოეულს მათგანში (საღმრთო სჯულს გარდა) ერთი მასწავლებელი უნდა ასწავლიდეს. საგნები: საღმრთო სჯული. მთელს სასწავლებელში კვირაში 27 გაკვეთილი. ქართველები სწავლობენ მშობლიურს ენაზე ყველა კლასებში. 2 რუსული ენა და სიტყვიერება — 47 გაკვეთილი. მეტი ყურადღება მე-VI და-VII კლასებში მიექცევა უსლეს მწერლებს; 3 ქართული ენა და სიტყვიერება 47 გაკვეთილი; მე-V—VI კლასებში ახალი და უახლესი მწერლობა. პუბლიცისტიკა და ისტორიული მწერლობა; მე-VII კლასში — ძველი მწერლობა და სიტყვიერების თეორიის მოკლე კურსი. 4 მათემატიკა — 44 გაკვეთილი (არითმეტიკა, ალგებრა, გეომეტრია, ტრიგონომეტრია, ქიმია და ფიზიკა); 5 ბუნების-მეტყველება — 7 გაკვეთილი. ისწავლება — V კლასებში სავაჟო გიმნაზიის აწინდელ პროგრამით; 6 სამოქალაქო ისტორია 16 გაკვეთილი, — შესაფერს ადგილებში კულტურის ისტორიის განმარტებით; 7 გეოგრაფია და კოსმოგრაფია — 18 გაკვეთილი, 8, პედაგოგიკა, დიდაქტიკა და ფსიხოლოგია — 6 გაკვეთილი. მე-VIII კლასში — პედაგოგიკის ისტორია; 9. ფრანგული ენა (სავალდებულოა) — 19 გაკვეთილი. 10. გალობა, 11. ჭაგიენა და სახელდასწლო ექიმობა — 6 გაკვეთილი; 12 ხატვა და 13. ხელსაქმე.

მერვე კლასი დაშტებიითა, ჰელაგოგურაბ; ის სავალდებულოა მათთვის, ვისაც მასწავლებლობა სურს.

სასწავლებელში მიიღებიან სამღვდლოების ასულთა გარდა ყველა წოდების შვილები. ხაშხება უნდა მოისპოს. კლასიდან კლასში გადასასვლელი გამოცდა — მოისპობა; მხოლოდ დარჩება მისადები გამოცდა სხვა და სხვა კლასებში და გამოცდა იმ კლასებში, სადაც საგნის კურსი თავდება.

გაკვეთაღის საფასური დაბალ კლასებში მესამემდის-55 მან. თითო გაკვეთილი წლიურად: ხოლო უფროსს კლასებში-75 მანეთი. სასწავლებლის შე-

სანახად საქირაა 32 ათასი მანეთი წელიწადში ახალ ხარჯთაღრიცხვით. სასწავლებელი უნდა გათანასწორებულ იქნას ყოვლის მხრივ სხვა ამის მსგავსს საშუალო საქალებო სასწავლებლებთან.

საპედაგოგო საბჭომ თვისი პროექტი შემდეგის შენიშვნით დააბოლოვა: „ამ პროექტს სასწავლებლის საბჭო ისე უნდა უწყობდეს, როგორც თვისს საკუთარს შრომას, და არ ამოკიდებს, რომ ის დააკმაყოფილებს ქართველს სამღვდელთებს, რომელსაც, როგორც არა ერთ გზას გამოუთქვამს ბეჭდვითი სიტყვის საშუალებით, სურს იქონიოს სკოლა სამშობლო ენაზე სწავლებით, ისე კი რომ არუსულს ენას მისში ჯეროვანი ადგილი ექირას. საპედაგოგო საბჭოს წმინდა პედაგოგიურ მოსახრებათა ჩვენებით არ შეუძლია არ თანაუგრძნოს ქართველ სამღვდელთების ამ სურვილს“..

III

ჩვენი სურვილია ამ პროექტის და მისი ბოლოსიტყვაობის შესახებ გამოვთქვათ რამდენიმე ჩვენი მოსაზრება. ეს მით უმეტეს საქირაა, რომ ამას წინადაც ვახეთს „ცნობის ფურცელ“ში ერთმა „ანაპედაგოგმა“, რომელმაც საქმის ვითარება ალბად არ იცოდა, სასწავლებლის საპედაგოგო საბჭოს ხსენებულ ბოლოსიტყვაობის პროექტში მოთავსებისთვის ორს სკამზე ჯდომა და ორქოფობა შესწამა. ქართველი სამღვდელთობა (საუკეთესო ნაწილი იგულისხმება) არასოდეს არ იყო კმაყოფილი საექსპარხოსოს სასულიერო უწყების სასწავლებლებში (სემინარია და საეპარქიო სასწავლებელიც იგულისხმება) სწავლა აღზრდის საქმის მდგომარეობისა. თვის უკმაყოფილებას სამღვდელთობა აქამომდე აცხადებდა ხანდახან, თუმცა იშვიათად და გაუბედავად, წერილობითად, — და უფრო კი ჩვეულებრივ „ურუდ“... მართლაც, აღზრდის საქმე მათში ადგილობრივს ცხოვრებას მოშორებული იყო, და მის მოწაფეებს არ აცნობებდნენ ამ ცხოვრების თავისებურობას, რის გამო ისინი შორს იდგნენ მშობლიურს სინამდვილეზე, თითქოს ემზადებოდნენ ციმბირს და ან სახალინზე მოღვაწეობის სარბიელზე გამოსასვლელად... მათ ზედ—მიწვევით არ იცოდნენ მშობლიური ენა, რომლის ცხოველ მყოფელს და გამაკეთილშობილებელს გავლენას ამისგამო მოკლებულნი იყვნენ. ბოლო დროს განმთავისუფლებელმა მოძრაობამ ჩვენი სამღვდელთობაც ააღაპარა... მან ხმა აღიმალა იმ სასწავლებელთა უკუდმართობის წინააღმდეგ, რომლებშიც მათი შვილები, — ეს მყოზადის იმედნი — განათლებას ღებულობდნენ... და მოითხოვა მათში სწავლა აღზრდის საქმის გაუმჯობესება, მან გამოთქვა სურვილი იქონიოს ისეთი სასწავლებელი, რომელი მეოხებით მის შვილები ნორმალურად განვითარდებიან მშობლიურს ენაზე და ამავე დროს სახელმწიფო რუსულს ენასაც საფუძვლიანად შეისწავლიან... მაგრამ ჯერ სამღვდელთობას საერთოდ დაწვრილებით არ გაურკვევია ცნება მშობლიურ (ნაციონალურ)

სასწავლებლის შესახებ. ამის თაობაზე სხვა და სხვანაირი ზეწორი გამოითქვა. იმერეთის და გურია-სამეგრელოს სამღვდლოება თხოულობს თავის შვილთათვის რვაკლასიანს სასწავლებელს, რომელშიაც ქართულს ენაზე უნდა ისწავლებოდეს (ქართული სიტყვიერების გარდა) საღმრთო სწულად და ბუნების-მეტყველებას... მაგრამ ნუ თუ შეიძლება ასეთს სასწავლებელს ნაციონალური სასწავლებელი ეწოდოს?! გორში და თელავში კი სხვანაირი მოთხოვნილება წარმოადგინა სამღვდლოებამ... წარსულის წლის მაისის კრებაზე ქართველმა სამღვდლოებამ საერთოდ დაგმო არსებული სასულიერო სკოლა და თვისი შეხედულება ამ სკოლის საუკეთესოდ მოწყობის შესახებ კი გარკვევით არ გამოთქვა. ამის თქმა კი თამამად შეიძლება, რომ ჩვენი სამღვდლოების საუკეთესო წარმომადგენელთა საერთოდ ნაციონალური სასწავლებლის იდეა აქვსთ, თუმცა საქართველოს სხვა და სხვა კუთხეში სხვა და სხვანაირად აქვსთ წარმოდგენილი ეს იდეა... არ შევცდებით,—თუ განვარტებთ რამდენადმე ამ იდეას: სამღვდლოების შესამჩნევს ნაწილს სურს იქონიოს თვისი შვილთათვის ნაციონალური სასწავლებელი, ისე კი რომ ყველა საგნები მთელს სასწავლებელში (ზოგიერთგან სურთ მხოლოდ პირველს ოთხს კლასში) მშობლიურს ენაზე ისწავლებოდეს, ხოლო რუსულს ენას, რუსულს სიტყვიერებას, რუსულს საეკლესიო და სამოქალაქო ისტორიას და რუსულს გეოგრაფიას რუსულად ასწავლიდნენ. სამღვდლოების ეს სურვილი დიდის თანაგრძნობის ღირსია პადავოგიურ მოსაზრებათა გამო. უცილობო ქეშმარიტებაა, რომ ნაციონალურს სასწავლებელში ახალთაობა ნორმალურად განვითარდება და ესრედ განვითარებული საზოგადოებისთვის ხორცმეტი აღარ იქნება... მხოლოდ ასეთს სასწავლებელში „მიეცემა ნაწეს გზა ფართად“. ნაციონალური სასწავლებლის არსებობის საშუალებით შეიძლება განხორციელდეს პიროვნების და ერის, როგორც კერძო პიროვნებათა კრებულის, თავისუფლი განვითარების იდეა... რაიც შეეხება კერძოდ ტფილისის საეპარქიო სასწავლებელს,—მისმა საბჭომ შეადგინა სასწავლო და სადამინისტრაციო პროექტის გარდა ხაჯთა—აღრიცხვის პროექტიც. ამ უკანასკნელი პროექტით სასწავლებელს შესანახად სჭირდება 32 ათასი მანეთი; მის ნაწილი სამღვდლოებამ უნდა გამოიღოს. დღეს კი სამღვდლოება აძლევს მას 13 ათას მანეთზე ცოტა მეტსა ტფილისის საეპარქიო სანთლის ქარხნის შემოსავლიდამ. თუ საბჭომ არ შეადგინა პირდაპირ ნაციონალური სასწავლებლის პროექტი, ეს მას მოუვიდა არა იმის გამო, რომ არ ესმოდეს ასეთი სასწავლებლის უაღრესობა, არამედ შემდეგთა საყურადღებო მოსაზრებათა გამო. ქართლკახეთის სამღვდლოების ნაწილს შეადგენს სამღვდლოება ამიერ-კავკასიის რუსთა, ბერძენთა, ოსთა და აისორთა. ტფილისის საეპარქიო ქარხანაში თვის წილი აქვსთ ქართველ სამღვდლოებასთან ერთად ამ ოთხი ერის სამღვდლოებასაც. დასთანხმდება თუ არა მათი სამღვდლოება, რომ

ამ ქარხნიდამ აძლიოს ყოველწლივ ქართულს ნაციონალურს სასწავლებელს, რომელშიაც მარტო ქართველი ქალები ისწავლიან, საკმაო დახმარება. მოსალოდნელია, — რომ არაქართველი სამღვდლოება დაიარსებს თავის საკუთარს სანთლის ქარხანას, და ტფილისის სანთლის ქარხანა კი მარტო ქართლ-კახეთის ამარაღა დარჩება. . . შეუძლია თუ არა ამის შედეგ ამ ქარხანას იმდენი შემოსავალი ჰქონდეს, — რომ ყოველწლივ საჭირო დახმარება აძლიოს სასწავლებელს?!... ჩემი ჰაზრით, თუ ეს ასე მოხდა ქარხანას მომავალში იმ 13 ათასი მანეთის მიცემაც გაუჭირდება, — დღემდის რომ იძლეოდა სასწავლებლის შესანახად. ამასთანავე თვით საკითხს სანთლის ქარხნის შესახებ განმარტება სჭირდება. სამღვდლოება სანთლის ქარხანას თვის საკუთრებად სთვლის, მაგრამ ეს დაწესებულება სავსებით მისი საკუთრება არაა. სანთელს ჰყიდულობს სამწყსო, ხალხიც ამით ქარხანა შემოსავალს და მოგებას აძლევს. სიმართლე მოითხოვს, რომ ამის გამო საეპარქიო სასწავლებელში, რომელიც სანთლის ქარხნის შემოსავლით ინახება ქართლ-კახეთის ეპარქიაში, ეთმობოდეს თავისუფალი ადგილების ნახევარი საერო წოდების შვილთა და ნახევარი კი — სამღვდლოების შვილებს. დათანხმდება თუ არა სამღვდლოება ამაზე, ეს საკითხი ჯერხანად გამოურკვეველია. ვთქვათ, სასწავლებელში ყველა წოდების შვილებს თანასწორად მიიღებენ, სამღვდლოების შვილთ უპირატესობა არ მიეცემათ, — მაშინ სამღვდლოებას შეუძლია მას სანთლის ქარხნიდამ შემწეობა აღარ აძლიოს და ქარხნის შემოსავალი სხვა თვის საჭიროებას მოახმაროს... მაგრამ ნუ თუ სამღვდლოებისთვის არსებობს სხვა უფრო დიდი საჭიროება სწავლის საჭიროებასთან შედარებით? — თვისი უკანასკნელი გროშიც კი მან უნდა გამოიღოს ერში სწავლა-ცოდნის გასავრცელებლად. ის მოვალეა თვის სამწყსოს შესწიროს იმ შემოსავლის ნაწილი, რომელსაც აძლევს უკანასკნელი სანთლის ყიდვის სახით...

სანთლის ქარხნის დაუხმარებლად თავის ჯიბიდან ქართლ-კახეთის ქართველი სამღვდლოება სასწავლებლის შესანახად უკიდურეს სიღარიბის გამო ვერაფერს გამოიღებს... თუ საქართველოს ეკლესიას სრული დამოუკიდებლობა მიენიჭა, — მაშინ ჩვენმა სამღვდლოებამ ან უნდა დააარსოს ნაციონალური სასწავლებლები და ან მათზე სრულიად უარი თქვას და საერო უწყებებს გადასცეს. თუ საქართველოს ეკლესია რამდენსამე ხანს დღევანდელს მდგომარეობაში დარჩა, — სამღვდლოება იძულებული იქნება პირველს ხანად შეურიგდეს შერეულ სასწავლებლის არსებობას, სადაც ქართველებთან ერთად არა ქართველებიც ისწავლიან... საეპარქიო სასწავლებლის საბჭომ ეს გარემოებანი მიიღო მხედველობაში და შეადგინა ისეთი პროექტი, რომლის ძალით ქართველი მოწაფეები სამს მოსამზადებელს კლასში მშობლიურს ენაზე ისწავლიან, საღმრთო სჯულს ამავე ენაზე შეითვისებენ ყველა კლასებში და ქართულ ენას და სიტყვიერებას იმდენივე გაცვეთილი აქვს დათმობილი, რა

მდენიც რუსულს ენას,—სახელდობრ— 47 გაკვეთილი. ვიცით, რომ ეს სამ-
 ლველოების სურვილის „მინიმუმი“, რომელიც პირველს ხანად უნდა გან-
 ხორციელდეს, სანამ ქართველი სამლველოება დღევანდელს წივთიერს
 მდგომარეობაში და სინოდის ბრძანების ქვეშ იმყოფება. შემდეგში,—როდესაც
 ის თავს დააღწევს დღევანდელს ყოფას,—მას შეუძლია დაააროს ნა-
 ციონალური სასწავლებელი, რომლის არსებობას თანაგრძობა გამოუტყხადა წინ-
 დაწინ სასწავლებლის საბჭომ პროექტის ბოლოსიტყვაობაში პედაგოგიურ
 მოსაზრებათა გამო... თუ მან შეადგინა შერეულ სასწავლებლის პროექტი,
 —ეს იმის გამო ჩაიდინა, რომ თვალთწინ ეხატა სამლველოების აწინდელი
 უკიდურესი გაქირვება, მისი წავითიერი უშემწეობა და საეპარქიო ქარხნის
 საექვო მდგომარეობა, მისი შემოსავლის შესაძლო შემცირება, ეხატა სამ-
 ლველოების ცხოვრების მწარე სწამდელი, რომლის მხედველობაში მიუ-
 ლებლად მისი პროექტი იქნებოდა „ცისა და ქვეყნის შუა დაკიდული“...
 საბჭომ ამ პროექტის გაგზავნასთან ერთად აღძრა შუამდგომლობა ექსარ-
 ხოსის წინაშე წელს მისის გასულს ქართლ-კახეთის სამლველოების რწმუნე-
 ბულთა კრების მოწვევის შესახებ. ამ კრებას სხვა საკითხთა შორის, რო-
 მელიც შეეხებოდა საეპარქიო სასწავლებლის ცხოვრებას, გადაეცემა საბჭოს
 მიერ შემუშავებული ახალი პროექტიც სასწავლებლის რეორგანიზაციის შესა-
 ხებ. ექსარხოსი, როგორც ვიცით, დათანხმდა მოიწვიოს სამლველოე-
 ბის კრება, თუმც არა მარტო სასწავლებლის გულისთვის. კრებამ უნდა
 იქონიოს ჩვენის ჰაზრით მსჯელობა: ა) სურს თუ არა მას მომავალში
 არსებობდეს საეპარქიო საქალეო სასწავლებელი, ბ) თუ სურს რა ხასიათისა,
 წმინდა ეროვნული, თუ ნახევრად ეროვნული, კერძო თუ სახელმწიფო სასწავ-
 ლებლის უფლებით; გ) რა საშუალებით შეუძლია შეინახოს ეს სასწავლებელი,
 უკეთეს მასში აღარ ისწავლიან არაქართველები; დ) სურს თუ არა მას სა-
 სწავლებელში არსებობდეს „ზოგად-საცხოვრებელი“ (პანსიონი), რომლის
 არსებობა სასურველი არაა; ამისდამიუხედავად, აქ თურმე ზოგიერთი მღვდლები
 ხსენებულს ჰაზრს არ თანაუგრძობენ, თუმცა პედაგოგიური და ჰიგიენუ-
 რი მოსაზრებანი სწორედ ამ ჰაზრისკენაა გადახრილი; ე) სამლველოე-
 ბამ უნდა გამოთქვას თავისი ჰაზრი იმის შესახებ,—თუ რა ადგილი უნდა
 ექიროს სასწავლებელში სარწმუნოებას. საბჭოს ჰაზრი ამ საკითხის შესახებ
 ასეთია: საღმრთო სჯულს მაინც და მაინც მან პროექტში დიდი ადგილი არ
 დაუთმო. საბჭო პრინციპიალურად წინააღმდეგია მოწაფეთა შორის „გარეგ-
 ნულის დღეთისმსახურების“ განვითარებისა, რასაც ხელს უწყობს არსებული
 აღზრდის სისტემის დაძველებული და მოწაფის ბუნების დამზავრელი
 ზომები... ვ) სასწავლებელს რეორგანიზაციის შემდეგ მოაწყდება დი-
 დალი მოწაფე... თავისთავად ცხადია, რომ მეორე სასწავლებლის დაარ-
 სება ახლო მომავალში აუცილებელი მოკლენა შეიქნება; თქმა არ უნდა,

რომ ერთი ამ სასწავლებელთაგანი ქართული უნდა იყვეს; ზ) საჭიროა გადაწყდეს საკითხი იმის შესახებ, — სასწავლებელში უფასო სწავლება იქნება თუ უფასოანი; ც) რა დამოკიდებულება უნდა ჰქონდეს სამღვდლოებას სასწავლებლის ცხოვრებასთან; თ) რა და რა ცხოვრებაში გამოსადეგი საგნების სწავლების შემოღება სურს სამღვდლოებას თავის სასწავლებელში... და სხვა და სხვა... თუ სამღვდლოება გამონახავს საშუალებას ნაციონალურ სასწავლებლის არსებობისათვის და შემოუშავებს საკითხს იმის ტიპის შესახებ, ის არ უნდა შეუშინდეს, უკეთეს საეპარქიო სასწავლებელს სახელმწიფო სკოლის უფლებანი წაერთმევა... რუსეთის მოქმედი კანონების ძალით, ყოველს წოდებას შეუძლია იქონიოს თავისი სასწავლებელი, რომელშიც რუსულს ენაზე უნდა ისწავლებოდეს მხოლოდ რუსეთის ისტორია, რუსული გეოგრაფია და რუსული სიტყვიერება; დანარჩენი საგნების სწავლება — მშობლიურს ენაზე შეიძლება. (ტომი მეთერთმეტე კანონებში § მე-3720); ასეთი კერძო სასწავლებლის მოწაფეებს დღესაც აქვს სახელმწიფო სასწავლებელში დამთავრებულებთან თანასწორი უფლება, — შეუძლიათ უმაღლეს სასწავლებელშიც შევიდნენ (მაგალ. უნივერსიტეტში), — მხოლოდ საჭიროა კურსის დამთავრების გამოცდას საერო უწყების სასწავლებელთა წარმომადგენელი დაესწროს (იქვე § 3738)... ან კი რა უფლება ჰქონდა დღემდის საეპარქიო სასწავლებელს? — მაინც და მაინც არც თუ შესახარბი... უმაღლეს სასწავლებელში ძნელად იღებენ მის მოწაფეებს; ერთად ერთი ადგილი — რომელსაც აძლევდნენ, — ხანდახან იმასაც გაჭირვებით, ეს პირველ — დაწყებითის სკოლის მასწავლებლის ადგილი იყო. იმედია, — სამღვდლოება ახალთაობის ნორმალური განვითარებისა და გააღმანებისთვის ქეშმარიტს ეროვნულს ნიდაღზე, — უკეთეს გამონახავს სახსარს, შომაველ ნაციონალური სკოლის არსებობისათვის საჭიროს, — უკუაგდებს იმ მცირე უფლებებს, — რომლითაც საეპარქიო სკოლის მოწაფეებს აქამომდე ბიუროკრატია აჯილდოებდა, მით უმეტეს რომ, თუ საეპარქიო სასწავლებელი კერძო სასწავლებლის ხასიათის იქნება, მას შეუძლია სარგებლობდეს უფრო მეტის უფლებებით, — ვიდრე აქამდის სარგებლობდა, როგორც ეს ზემოდაც განვმარტეთ. რუსეთის პოლიტიკური ცხოვრების მოსალოდნელი განახლება ცხელს შეუწყობს ასეთი სასწავლებლის არსებობას.

ილია ფერაძე.

P. S. ეს წერილი უკვე აწყობილი იყო სტამბაში, როდესაც ახლად გამოსული გაზეთის „სიტყვის“ პირველს ნომერში ორი სხვა და სხვა წერილი წავიკითხეთ თფილისის საეპარქიო სასწავლებლის შესახებ. არ შეგვიძლია ზენი მოსაზრება არ გამოვთქვათ „სიტყვის“ ამ წერილთა ზოგიერთ მოსაზრებათა გამო საეპარქიო სასწავლებლის შესახებ.



ა. ერთს წერილში ნათქვამია: „თუ ჩვენ ვიქნებით სასწავლებლის პატრონი, მაშინ ფულის გადბაზედაც ვიქნებით მსჯელობა“. ჩვენ დიდათ ვაგვეხარება, უკეთეს სასწავლებლის პატრონად ნამდვილად სამღვდლოება გახდება. შედგენილი პროექტი სამღვდლოება ირჩევს სასწავლებლის უფროსს ქალს. თუკი საქიროდ და მოსახერხებლად დაინახავს, დაე სამღვდლოებამ აღიაროს ინსპექტორი, მასწავლებლები და სხვა მსახურნი პირნიც. პროექტმა ამ უკანასკნელთა (ინსპექტორთა) არჩევა პირდაპირ არ მიაკუთვნა მას, მხოლოდ იმ მოსაზრებით, რომ სანამ ტფილისის საეპარქიო სასწავლებელი რუსეთის ასეთივე სასწავლებლების წესდებულებით ისარგებლებს, პირველის გაუმჯობესება სწავლა-აღზრდის და საგამგეობო მხრით მეორეთაგან დამოუკიდებლად შეუძლებელია: რაც იქნება რუსეთში, ის იქნება ჩვენშიც, თუ ჩვენს ეკლესიას ავტოკეფალობა არ მიენიჭა. და სასწავლებელსაც კარგი სასიათი არ შეეძა.

ბ. „სიტყვა“-ში სწერია: ეპარქიალურ სასწავლებელზე უნდა ითქვას, რომ იმის სმეტა (!) ისევე ძველებურად უნდა დარჩეს“. განვიხილოთ. სასწავლო კურსის ისე დატოვება, როგორც აქამომდე იყო, ზინდაზინდ შეუძლებელია თანამედროვე ცხოვრების მწვავე მოთხოვნისათვის მიხედვით. თუ სასწავლებლის კურსი შეიცვლება, ერთი კლასის მომატება მაინც დასჯირდება, რაც თავის თავად ახალს ხარჯს გამოიწვევს. მაშასადამე, ძველი „სმეტის“ დატოვება უფალად-შეუძლებელია. თუნდ ექვს კლასიანიც დარჩეს სასწავლებელი, მაშინაც ძველი ხარჯთ-აღრიცხვის დატოვება შეუძლებელია. იმისთანა მცირე „საგადასახადო საფასურს“, რომელსაც იძლევიან საგვ. სასწავლებელში, ვერც ერთს საშუალო სასწავლებელში ვერ შეხვდებით. ჩვენი საუკუნე „შრომის სუფიერის“ საუკუნეა, რომელმაც სამართლიანი ჯილდო უნდა მისცეს მშრომელს. თითოეული მუშა კი ღირსეულს საფასურს მოითხოვს; მუშაკთა ხმა მძლედ გრგვინავს და ძილს უფრთხობს ფუფუნების მოყვარე, სხვის შრომის ნაყოფით დამტკბარს უმცირესობას. შრომის „ექსპლუატაციას“, მის აბუჩად აგდებას ბოლო ედება. . . ნუ თუ სასწავლებლის შრომა, გონებითი მუშაობა. — ნაკლებ მძიმეა სხეულებრივს მუშაობაზე? ნუ თუ იგიც — ეს გონებითი მუშაობა — ღირსი არაა ჯეროვანის სასყიდლისა? ჩვენ მოთაყვანე არა ვართ „დიპლომი“-სა, ჩვენ არ ვარჩევთ უმაღლეს განათლების მექანე მასწავლებლის შრომის საშუალო განათლების მასწავლებლის შრომიდამ. მთელს საეპარქიო სასწავლებელში მასწავლებელთა ადგილებზე უანაფორო და ანაფორიანი სემინარიელების განწესებაც რომ მოინდომოს სამღვდლოებამ, მაშინაც მათ ეკუთვნით ისეთივე სასყიდელი, როგორიც — უმაღლეს განათლების პირთა. შრომის საფასური თუ არ მოემატება, არც ერთი რიგიანი მასწავლებელი აღარ დარჩება სასწავლებელში. — და მაშინ სამღვდლოება იძულებული გახდება ხელ-შეკრულობით დაიჭიროოს მასწავლებლები და ის მოიწვიოს, ვინც პირობას მისცემს არსებულ საფასურზე ემსახუროს მასწავლებლად.

საქართველოს საექსპორტოს მთელს ქართველს სამღვდლოებას (ოთხისავე ეპარქიისას) შეუძლია სერთო ძალით დააარსოს ერთი ეროვნული საქალბო სასწავლებელი და მასში მოაწყოს სწავლა-აღზრდის საქმე თვისის სურვილისამებრ და ხიფთიერადაც უზრუნველჰყოს მსახურნი პირნი.

გ. სასწავლებლის სრულიად დახურვა, როგორც „სიტყვა“-ში ნათქვამი, შეუწყნარებელ საქმედ ჩასათვლილია. დღეს სასწავლებლის პატრონად ითვლება სამღვდლოება, რომელსაც შეუძლია ადვილად განახორციელოს ამ სასწავლებელში ეროვნულ სასწავლებლის იდეა. დღეს ისეთი ხანაა, რომ არსებული სასწავლებლები კი არ უნდა დახუროთ, ახლები უნდა გავხსნათ, რათა დავაკმაყოფილოთ სწავლა-განათლების დიდი წყურვილი.

დ. „სიტყვა“-ში სწერია: „სამღვდლოებას თვისი ჰაზრი უკვე გამოთქმული აქვს მარმან იმის შესახებ, თუ რომელს ენაზე უნდა იყვეს საგნების სწავლება. ეს ჰაზრი საბჭოს მიერ პროექტის შესადგენად დანიშნულმა კომისიამ არ იცოდა, თუმც სხვამ ყველამ იცოდა“. ხსენებულს კომისიაში ამ სტრიქონების დამწერიც გახლდათ. მან იცოდა სამღვდლოების ჰაზრი, და რომ იცოდა ეს ჰაზრი, მან დაამტკიცა ტფილისის სამღვდლოების ზოგიერთ წევრთა (12—მდის) წინაშე, როდესაც პროექტიდამ ამის შესახებ უმტკიო რესობის ჰაზრი წაიკითხა იმ კრებაზე, რომელიც „სიტყვა“-ში მოხსენებული... მაგრამ იგივე ამ სტრიქონების დამწერი განცვიფრდა, როდესაც იმავე კრებაზე დამთავრებული საერთო მტკიცე გადაწყვეტილება და ჰაზრი ვერ შოისმინა. კრებაზე მხოლოდ ერთმა გამოთქვა ცხადად და გარკვევით, რომ სამღვდლოებას ეროვნული სასწავლებელი სურსო... დანაჩენთა შორის ერთი ამბობდა,—რომ ის სამღვდლოების სახელით ვერ ილაპარაკებს და, თუ იტყვის რასმეს,—იტყვის თავის სახელით, როგორც თავისი კერძო და არა საზოგადო მოსაზრებას,—მეორე გაიძახოდა სასწავლებელი სულ უნდა დაიხუროსო და სხვა... არც თუ მოულოდნელია ჰაზრთა ასეთი ცვალებადობა. სამღვდლოებამ ზოგიერთი თვისი გადაწყვეტილება წარსული წლის კრების შემდეგ უკანვე წაიღო და ვერ განახორციელა. წარმოიდგინეთ ყოვლისავე ამის შემდეგ ის, ვინც საეპარქიო სასწავლებლის საბჭოში ზიჯუქმა აღძრა საკითხი ეროვნული საქალბო სასწავლებლის შესახებ და ამტკიცებდა, რომ სამღვდლოებას სურსო ასეთი სასწავლებელი, როგორ გეწითლდებოდა და რაგვარ უხერხულ მდგომარეობაში ჩავარდებოდა იმათ წინაშე, რომელთაც მისი ჰაზრი ამის შესახებ სავსებით არ სჯეროდათ?!. მაგრამ დაგვიანებული არც დღესაა. სასწავლო პროექტი სამღვდლოების წარმომადგენლებმა უნდა განიხილონ და თვისი ჰაზრი წარმოსთქვან იმის შესახებ... მხოლოდინი გვაქვს,—რომ სამღვდლოება წარმოსთქვამს თვისს დასაბუთებულს და მიუდგომელს ჰაზრს იმის შესახებ, თუ როგორი ტიპის საქალბო სასწავლებელია მისთვის სასურველი... და თუ საბჭომ ვერ წარ-

მოსთქვა, როგორც „სიტყვა“ უკიციანებს, მან მიიწვია წარმოსთქვას „სეიჩინი და გაბედული ჭაზრი“ სასწავლებლის რეორგანიზაციის შესახებ... ჩვენ დიდის ალტაცებით და თანაგრძნობით მივეგებებით ამ ჭაზრს.

o. ფ.

წერილები რედაქციის მიმართ.

1. ოქმი.

იმერეთის ეპარქიის ხონის საკეთილმოწესო ოლქის სამღვდლოებისა, 1906 წ. 15 მაისს.

ჩვენ ქვემოთ ამისა ხელას მოაწერნი ამით ვაცხადებთ, რომ პეტციით ვითხოვეთ ჩვენ და დღესაც მტკიველ ვითხოვთ ჩვენი სამშობლო ეკლესიის ავტოკეფალიის აღდგენას. იმ გვარი შინაარსის წერილებსა საქათველელს ეკლესიის ავტოკეფალიის შესახებ, როგორც დაბეჭდილია ამა წლის „Церковный Вѣдомост“ების №. № 13 და 14-ში, ჩვენ მიგაჩნია სრულიად შეუფერებელ და საზიზღარ სიცრუეთ. არ გვრწამს, რომ ავტორი მოთავსებული წერილებისა იყოს ვინმე სამღვდლო პირი იმერეთს. ეპარქიისა და, თუ არის, ჩვენის მხრით ვუსხადებთ ზიზღს და პროტესტს...

(ხელს აწერენ 19 სამღვდლო მსახურნი).

2. ამისთანავე შინაარსის ოქმი მიიღო რედაქციამ ქართლკახეთის ეპარქიის ბორჯომის ეპისკოპოსის საკეთილ-მოწესო ოლქიდანაც. ამ ოქმს ხელს აწერენ 19 სამღვდლო და საეკლესიო მსახურნი.

3. ამისთანავე შინაარსის ოქმი მიიღო რედაქციამ იმერეთის ეპარქიის ქვიტირის საკეთილ-მოწესო ოლქიდანაც... ამ ოქმს ხელსაწერენ 25 საეკლესიო და სამღვდლო მსახურნი.

ღია წერილი

დიდ-მეფერიხვეის წმ. მარინეს ეკლესიის მღვდელს ნიკოლოზ სამხარაძეს.

ოთხ წელზე მეტია, რაც მე და თქვენ მრევლის განაწილებაზედ გვაქვს ერთი დაუსრულეველი კამათი და დავი-დარაბა. ამ დროს განმავლობაში არა ერთი და ორი „რაპორტი“; „პროტესტი“. და სხვა ამისთანანი დაგვიხარჯავს. „ბლალოჩინს“ აუარებელი „ოტ-ნოშენიები“, უწყებები და მსგავსი მათი მოწერილობანი ჩაუბარებია ჩვენთვის, გამოცვალეთ ერთი „ბლალოჩინთაგანი“, —საქმის გამომრკვეელი, ვინაიდგან ერთ-ერთ ჩვენგანისაგან შე-მჩნეულ იქმნა, როგორც „მონათსავე“ კაცი, და საქმის გამომრკვევა მიენდო მთავრობისაგან სხვა „ბლალოჩინს“. გეხსომებათ, რომ ამ უკანასკნელმა ჩვენ ორთავეს ხელწერილი ჩამო-გვართვა ურთი-ერთის მუეფლს არ შევებოყავთ, წინააღმდეგ შემთხვევაში ერთ-ერთს ჩვენ-განს ადგილი უნდა დავცალა. მიუხედავად ყოვლისავე ამისა, —რომ თქვენ ერთ კომლში ორი წიყვანეთ (თუმცა მრევლის უნებურათ), თქვენ დავი-დარ-ბის მანიით შეპყრობილი თქვენსას არ იშლით, კვლავ თქვენებურათ ძველებურათ ირჯებით და ეტმანსებით იქ, სადაც სხვა უნდა გახლდეთ, —მიიბრ-ვთ მრევლს და ამნაირის ქცევით უსიამოვნობას მაყენებთ. და ვინაიდგან მთავრობის განჩინება არა გასურთ შეიწყნაროთ და მეც მომბეზრდა



ერთსა და იმავე საკითხის განმეორება, ამისათვის ვაჟგობნებ ჩვენი მღვდლური დავადა-
რება სავწყემო სამედიატორო სასამართლომ გაარჩიოს და თვის მსჯავრი დასდოს ამ საქმესა,
ისე კი, რომ გაზეთში გაოაცხადოს თავისი გადაწყვეტილება. გიწვევთ სამედიატორო სამარ-
თალში და ველი თქვენს პასუხს. ჩემის მხრით მოსამართლეებს დავნიშნავ თქვენის პასუ-
ხის წაკითხვისათნავე.

დიდმეჭვრისხევის წმ. გიორგის ეკლესიის მღ. სეით გამრეკელი.

კერძო განცხადება:

ყოველ-კვირეული გაზეთი

„ს ი ტ ყ ვ ა“

გაოდის ყოველ კვირაობით მღვდ. ი. ჩიჯავაძის რედაქტორობით. გაზეთის ფასი
1906 წლ. ბოლომდის 2 მ. და 50 კ.

აღრესი: თიფლისი. Редакция газеты: „Ситква“, Графская ул. № 3.

ОФФИЦИАЛЬНЫЯ ОБЪЯВЛЕНІЯ.

Ректоръ ИМПЕРАТОРСКАГО Казанскаго Университета при отношеніи отъ 19-го минувшаго апрѣля за № 1258 препроводилъ въ правленіе Тифлисской духовной семинаріи нижепечатаемыя Правила о приѣмѣ въ студенты Казанскаго Университета съ просьбою по тавить воспитанниковъ Семинаріи въ извѣстность о содержаніи сихъ правилъ и предупредить ихъ, что всѣ частныя запросы по этому дѣлу отдѣльныхъ лицъ, въ виду ихъ подавляющей массы, не могутъ средствами Университетской канцеляріи сопровождаться особыми каждому лицу отвѣтами и сообщеніями.

Правила о приѣмѣ семинаристовъ въ Казанскій Университетъ.

1. Семинаристы принимаются на слѣдующихъ условіяхъ: На какой бы факультетъ ни поступали, они должны имѣть по аттестату или свидѣтельству семинаріи удовлетворительную отмѣтку по одному изъ новыхъ языковъ; не имѣющие таковой отмѣтки при поступленіи въ Университетъ даютъ обязательство записаться на одинъ изъ этихъ языковъ и въ концѣ года сдать по нему экзаменъ.

2. На историко-филологическій факультетъ принимаются какъ кончившіе полный курсъ въ духовныхъ семинаріяхъ, такъ и кончившіе общеобразовательный курсъ, т. е. перешедшіе въ V классъ, но всѣ при условіи, чтобы по теоріи словесности, исторіи русской литературы, латинскому и греческому языкамъ, всеобщей исторіи и русской исторіи въ аттестатахъ или свидѣтельствахъ имѣли отмѣтки въ среднемъ не меньше четырехъ (4) Не имѣющие таковыхъ отмѣтокъ подвергаются повѣрочному испытанію по тѣмъ изъ названныхъ предметовъ, по которымъ имѣется баллъ три (3).

3. На физико-математическій факультетъ принимаются лица, окончившія полный курсъ духовныхъ семинарій, съ повѣрочными экзаменами по математикѣ и географіи въ предѣлахъ курса классическихъ гимназій, а лица перешедшія въ V классъ, съ повѣрочными экзаменами по русской литературѣ (устно и письменно), по математикѣ и географіи въ предѣлахъ курса классической гимназій.

4. На юридическій факультетъ принимаются какъ кончившіе курсъ, такъ и перешедшіе въ V классъ духовной семинаріи.

5. На медицинскій факультетъ принимаются также окончившіе курсъ и перешедшіе въ V классъ духовной семинаріи, съ повѣрочными экзаменами, по усмотрѣнію факультета, при чемъ испытаніе по математикѣ, въ предѣлахъ курса классической гимназіи, обязательно.

6. Лица священнаго сана и лица женатыя не лишаются права на поступленіе въ студентъ на изложенныхъ выше условіяхъ.

7. Приемъ студентовъ происходитъ одинъ разъ въ годъ, передъ 20 августа.

8. Прошенія о приемѣ въ студентъ, съ обозначеніемъ факультета и отдѣленія подаются Ректору Университета съ 15 юлія по 10 августа.

При прошеніи должны быть приложены слѣдующіе документы, вмѣстѣ съ копіями на простой бумагѣ:

а) аттестатъ или свидѣтельство объ образованіи;

б) лицами христіанскихъ исповѣданій—метрическія свидѣтельства о времени рожденія и крещенія, удостовѣренныя установленнымъ порядкомъ;

в) документы о состояніи, къ которому проситель принадлежитъ по своему происхожденію: лица податнаго состоянія должны приложить сверхъ того увольнительныя свидѣтельства отъ общества;

г) свидѣтельство о припискѣ къ призывному участку по отбыванію воинской повинности и

д) двѣ фотографическія карточки съ собственноручной подписью просителя на каждой.

Примчаніе 1-е. Независимо отъ изложенныхъ выше документовъ, желающій поступить въ Университетъ долженъ представить свидѣтельство о безукоризненномъ поведеніи отъ мѣстной полиціи. Отъ представленія такого свидѣтельства освобождаются только лица, окончившія въ юнѣ того же года курсъ гимназіи или равнаго съ ними учебнаго заведенія.

Примчаніе 2-е. Въ случаѣ недостаточности или неполноты документовъ, не препятствующей опредѣленію просителя на поступленіе въ студентъ, назначается годовою срокомъ для пополненія документовъ, по истеченіи котораго не пополнившій ихъ увольняется изъ Университета.

Правленіе Тифлисской Духовной Семинаріи просить О. О. благочинныхъ Грузинскаго Экзархата довести содержаніе нижепомѣщаемыхъ объявленій до свѣдѣнія тѣхъ лицъ, которыхъ оно касается.

1) По указу Его Императорскаго Величества, Святѣйшій Правительствующій Синодъ приказали: Принимая во вниманіе, что, по причинѣ происходившихъ въ Закавказскомъ краѣ общественныхъ безпорядковъ, а также бывшихъ въ учебныхъ заведеніяхъ края забастовокъ, занятія и въ духовныхъ училищахъ Грузинскаго Экзархата за послѣдніе два учебныхъ года нерѣдко прерывались на значительное время и, возобновляясь, не могли идти всегда успѣшно и правильно, почему учащіеся, не прошедшіе въ надлежащей полнотѣ и съ должной основательностью училищнаго курса, могутъ оказаться недостаточно подготовленными къ продолженію образованія въ духовной семинаріи, Святѣйшій Синодъ, согласно заключенію Учебнаго Комитета, опредѣляетъ: разрѣшить Правленію Тифлисской духовной семинаріи, въ видѣ временной мѣры, подвергнуть присѣннымъ повѣрочнымъ испытаніямъ для поступленія въ I-й классъ семинаріи воспитанниковъ духовныхъ училищъ Грузинскаго Экзархата, какъ тѣхъ, которые оканчиваютъ училищный курсъ въ текущемъ году, такъ и тѣхъ, которые, въ равныхъ съ ними условіяхъ окончили курсъ въ 1905 г. и не были приняты въ семинарію за послѣдовавшимъ ея закрытіемъ;

2) Принимая во вниманіе, съ одной стороны, подожженіе благодѣтельныхъ воспитанниковъ Тифлисской духовной семинаріи, безъ вины пострадавшихъ вследствие за-

критія семинаріи послѣ забастовки остальныхъ воспитаниковъ въ сентябрѣ мѣсяцѣ 1905 года, а съ другой стороны, имѣя въ виду опредѣленіе Святейшаго Синода, отъ 8 февраля сего года, въ № 814, разрешающее принимать обратно въ семинаріи съ переходнымъ экзаменомъ въ слѣдующіе классы тѣхъ изъ уволенныхъ и затѣмъ признанныхъ благонадежными воспитаниковъ семинаріи, которые обучались въ текущемъ учебномъ году не далѣе января мѣсяца сего года, Святейшій Синодъ согласно заключенію Учебнаго Комитета, опредѣляетъ: разрешить Правленію Тифлисской духовной семинаріи, въ виду исключительныхъ обстоятельствъ нынѣшняго учебнаго года, допустить желающихъ изъ числа воспитаниковъ семинаріи, не принимавшихъ участія въ беспорядкахъ въ семинаріи, къ переводнымъ экзаменамъ въ слѣдующіе классы во второй половинѣ августа 1906 г. но съ тѣмъ, чтобы, согласно указанію Синодальнаго опредѣленія отъ 8 Февраля сего года за № 814, къ экзаменамъ были допущены лишь исключительно благонадежные воспитанники семинаріи.

3) Правленіе Тифлисской духовной семинаріи сѣмъ доволить до свѣдѣнія бывшихъ воспитанниковъ этой семинаріи, уволенныхъ изъ нее за беспорядки въ сентябрѣ мѣсяцѣ 1905 года, что желающіе продолжать въ ней опять свое образованіе должны подать на имя Правленія семинаріи, но никакъ не позже 16 августа сего года, прошенія объ обратномъ приѣмѣ ихъ въ семинарію, который будетъ произведенъ на основаніяхъ, указанныхъ въ опредѣленіи Святейшаго Синода отъ 8 февраля сего года за № 814, отпечатанномъ въ № 6 Церковныхъ Вѣдомостей за этотъ годъ.

Содержаніе №№ 9—10. Часть официальная: Распоряженія Грузинскаго Епархіальнаго Начальства. **Часть неофициальная:** Литургическая справка по вопросу объ автокефалии грузинской церкви. Прот. *К. Кекелидзе*. Къ „Проекту организаціи Грузинской церкви“. Свящ. *Илар. Джоси*. По поводу статьи „Голосъ изъ Сухума“ (газ. „Колоколъ“ № 45). Архим. *Амеросія*. По поводу статьи: „Къ вопросу о преобразованіи церковнаго управленія въ Грузіи“ (Церковныя Вѣдомости“ №№ 13—14 за 1906 г.). Историческая справка по вопросу объ автокефальности грузинской церкви (Отвѣтъ г. В. Самуилову). Свящ. *К. Цинцадзе*. Официальныя объявленія. **ქართული ბანკოზიგეგმა**. რაზუ დაჲ? (პასუხი თბილელ დიკონებს და მედიკოსებებს). **მწიკინბ**. ჩენს ოპონენტებს ქალ. თფილისის დიკონებს და მედიკოსებებს. **მ. ი. ჯაშინბ**. რა გვეკრებება? (შენიგუნბი სოფლის მღვდლისა) **მვდლ. დიოგ. ჩხიძინბ**. საყურადღებოდ საქართველოს სამღვდლოებისა, იმერეთის ეპისკოპოსის **ლომინდინბ**, რა სჭირდება საქართველოს ეკლესიას? **მკინბანინბ**. სინდისისა და ეკლესიის თავისუფლება ბიზანტიის იმპერიაში. **ს. შორბაძინბ**. ტფილისის საეპარქია საქალბო სასწავლებლის რეორგანიზაციის პროექტის შესახებ. (ქართლ-კახეთის ეპარქიის სამღვდლოების რწმუნებულთა მომავალ კრების საყურადღებოდ) **ილია შერაძინბ**. წერილები რედაქციის მიმართ. ღია წერილი მღვდ. ს. გ. ა. მ. რ. ე. კ. ე. ლ. ს. ა.

Редакторъ, свящ. *Н. Покровский*.

Редактирующий грузинскій отдѣлъ, *Ил. Перадзе*.

Скорощечная А. В. Кузателадзе. Московская ул., № 5.